ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №1-2, იანვარ-თებერვალი, 2016

„ვეფხისტყაოსნის“ ბილინგვური გამოცემისა და ახალი რუსული თარგმანის პრეზენტაცია



შოთა რუსთაველის პოემა 50 ენაზეა თარგმნილი და 37 ქვეყანაშია დაბეჭდილი. 17 თებერვალს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსთაველის დარბაზში გაიმართა „ვეფხისტყაოსნის“ ახალი რუსული თარგმანის პრეზენტაცია. მთარგმნელი არჩილ ხალვაში (1935-2008) ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებულია და პროექტზე რვა წელი მუშაობდა. ახალ თარგმანში ზუსტადაა დაცული „ვეფხისტყაოსნის“ მეტრი: მაღალი და დაბალი შაირი, 20-მარცვლოვანი ლექსი. გარდა ამისა, უცხო ენაზე პირველად ითარგმნა და გამოქვეყნდა „ვეფხისტყაოსნის“ სრული რედაქცია: შოთა რუსთაველის ავთენტურ ტექსტთან ერთად თარგმანში შევიდა ჩანართი და დანართი სტროფები, ანუ პოემის გაგრძელებები. გამოცემა ბილინგვურია, რუსულ ტექსტს ახლავს ქართული დედანი, რომელშიც შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი ემყარება აკადემიურ გამოცემებს (1988 და 2009 წ.), ხოლო ჩანართი-დანართი სტროფები — კრიტიკულად დადგენილ ტექსტს, რომელიც მთარგმნელს ეკუთვნის. გამოცემა დასაბეჭდად მოამზადა ბსუ ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის პროფესორმა რამაზ ხალვაშმა, რომელსაც ეკუთვნის ვრცელი წინასიტყვაობები რუსულ და ქართულ ენებზე. წიგნის გამომცემელია მთარგმნელის ვაჟი — ემზარ ხალვაში. წიგნი დაისტამბა გამომცემლობა „ქართულ წიგნში“.

ბსუ განათლების საერთაშორისო გამოფენაზე

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა მონაწილეობა მიიღო განათლების მეექვსე საერთაშორისო გამოფენაში, რომელიც 18-19 თებერვალს თბილისში, საგამოფენო ცენტრ „ექსპოჯორჯიაში“ გაიმართა.

გამოფენაზე, ბსუ-მ ორიგინალური სტენდით მიიპყრო დამთვალიერებელთა ყურადღება, სადაც FAB LAB BSU-ში დამზადებული სტუდენტთა ნამუშევრები იყო წარმოდგენილი. დამთვალიერებლებმა ინფორმაცია მიიღეს ბსუ-ს ფაკულტეტების, საგანმანათლებლო პროგრამების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა), და სხვადასხვა გაცვლითი პროგრამების შესახებ.

განათლების საერთაშორისო გამოფენა ყოველწლიურად ტარდება და მასში 16 ქვეყნის 100-მდე უნივერსიტეტი მონაწილეობს.

საჯარო ლექციების ციკლი ჯარისკაცებისთვის

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის პროფესორმა გურამ ჩაგანავამ, 31-ე ქვეით ბატალიონს საჯარო ლექცია წაუკითხა თემა- ზე-ქართველი კაცის ფსიქოლოგიური პრობლემები“.

სხვადასხვა სამხედრო დანაყოფის ჯარისკაცებისათვის საჯარო ლექციების ციკლი უნივერსიტეტში ერთი წლის განმავლობაში გაგრძელდება. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პროფესორ-მასწავლებლები სამხედრო მოსამსახურეებს ლექციებს წაუკითხავენ შემდეგ აქტუალურ საკითხებზე: „საბრძოლო ხელოვნების „გეოპოლიტიკა“, „საერთაშორისო ორგანიზაციები“, „პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება“, „სურსათი—სარგებელი და საფრთხე“ და „საქართველოს ისტორია“, „’ადამიანის წარმოშობის პრობლემა-ანთროპოგენეზისი“ და ა. შ.

უნივერსიტეტს სლოვაკეთის ელჩი ეწვია

სლოვაკეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში, ბ-ნი რუდოლფ მიხალკა ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტს ეწვია. უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, მერაბ ხალვაშმა ელჩს უნივერსიტეტის ისტორია, მიღწევები და სამომავლო გეგმები გააცნო. შეხვედრაზევე იმსჯელეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ბრატისლავის პან-ევროპულ უნივერისტეტს (ან ეროპეან ნივერისტეტ) შორის თანამშრომლობაზე საგანმანათლებლო და აკადემიურ სფეროში.

ვიზიტის დასასულს, ელჩი სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტებს შეხვდა, სადაც საქართველო-ევროკავშირის ურთიერობები, სამომავლო პერსპექტივები და გამოწვევები განიხილეს.

ფოლკლორული ანსამბლის დაჯილდოება

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებელი მერაბ ხალვაში ფოლკორულ ანსამბლს „თირინს“ შეხვდა და საერთაშორისო ფესტივალში გრანპრის მოპოვება მიულოცა. საერთაშორისო საშობაო ფესტივალი „ჩვენ ერთად“ ბელორუსიის რესპუბლიკის ქალაქ ბრესტში გაიმართა და მასში სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შემოქმედებითი ჯგუფები ღებულობდნენ მონაწილეობას. უნივერსიტეტის ფოლკლორული ანსამბლი ფესტივალში პირველად ღებულობდა მონაწილეობას. რექტორის მოვალეობის შემსრულებელმა მათ სიგელები გადასცა და სამომავლო მხარდაჭერა გამოუცხადა.

დაე, თქვენით ამაყობდეს საქართველო

ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვმოღვაწეობ. ამ ხნის განმავლობაში არასდროს მქონია საშუალება ასე ოფიციალურად, წინასაახალწლოდ მივსალმებოდი ჩემს მშობლიურ კოლექტივს და მიმელოცა მისთვის შობა-ახალი წელი. ეს ჩემთვის უდიდესი პატივი და განსაკუთრებული სიამოვნებაა.

მივესალმები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, სახელოვან პროფესორ-მასწავლებლებს, ყველა თანამშრომელს და განსაკუთრებით სტუდენტ-ახალგაზრდობას და ვუსურვებ ბედნიერ შობა-ახალ წელს, პირად ბედნიერებას და მშობლიური ქვეყნისა და უნივერსიტეტის ახალ-ახალ წარმატებებს.

ყველასათვის საყვარელ სტუდენტობას მინდა გულწრფელად ვუთხრა, რომ ისინი ნამდვილად იმსახურებენ საყოველთაო სიყვარულსა და სიამაყეს საზოგადოებაში. ჩემი ხანგრძლივი მოღვაწეობა ამ ქათქათა ტაძრის კედლებში მარწმუნებს, რომ ჩვენ გვყავს საოცრად ზრდილი, მაღალი ზნეობრივი ნორმების მატარებელი და ნიჭიერი სტუდენტური თაობა. არაერთი შემთხვევის მომსწრე ვარ, როცა ისინი ბეჯით სწავლასთან ერთად, ავლენენ საოცარ პატრიოტულ თვითშეგნებასა და თავდადებას საყვარელი სამშობლოსა და მშობლიური კუთხისადმი. მინდა მათ ერთხელ კიდევ შევახსენო, რომ პატრიოტიზმი არ არის მარტო განყენებული მცნება, იგი რეალურ სინამდვილეს ეფუძნება. აბა, კარგად ჩავუფიქრდეთ, სადაც დავიბადეთ იმ სივრცის ჰაერს ვსუნთქავთ, მის წყალს ვსვამთ და მის მიწაზე მოწვეული მოსავლით ვიკვებებით. ასე შენდება ჩვენი ორგანიზმი. ყველაფერი ეს მატერიალიზირდება ჩვენს სხეულში და შესაბამისად, ჩვენც ამ ქვეყნის, ამ მიწის ფიზიკური ნაწილი ვართ. რასაკვირველია ეს ყველაფერი არ ეშლება ქართველ კაცს და მითუმეტეს, ჩვენს სტუდენტ-ახალგაზრდობას. სამშობლოსადმი მიძღვნილი ჩემი ლექსიდან მინდა ერთი სტროფი გავაჟღერო:

ქართველი რომ სამშობლოზე დაიფიცებს,
სული იწვის, გული შფოთავს — აიმედებს.
გწამდეთ, რომ ის ყველაფერზე წამსვლელია
თავს გაწირავს, სიცოცხლესაც გაიმეტებს.

საყვარელო სტუდენტებო! თქვენ ცხოვრობთ, სწავლობთ და მოღვაწეობთ საოცრად დიდი შესაძლებლობების პერიოდში, თითქმის შეუზღუდავი კომპიუტერიზაციის ეპოქა, უცხო ენების შესწავლისათვის ნაყოფიერი პირობები, სტუდენტთა ურთიერთგაცვლის ნათელი პერსპექტივა, მშობლიურ თუ უცხო ენებზე არსებული სახელმძღვანელოების სიმრავლე და საერთოდ, მდიდარი ინფორმაციული გარემო, თქვენი სათანადო მონდომების შემთხვევაში გაძლევთ შესაძლებლობებს გამოიჩინოთ თავი, მოახდინოთ სრული თვითრეალიზაცია. ამისთვის ხომ თქვენი მშობლიური უნივერსიტეტი გიქმნით ყველა პირობას. ის საოცრად გაახალგაზრდავებული და თანამედროვეა. ურთიერთობებს ამყარებს ქვეყნის და მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან, ის ხომ ძალიან სწრაფი ტემპებით უახლოვდება საერთაშორისო სტანდარტებს.

ჩემი სურვილია, რომ უახლესი მომავლისათვის ჩვენი კურსდამთავრებულები იდგნენ მოწინავე სამეცნიერო მიღწევების ავანგარდში, თავისი ღირსეული წვლილი შეჰქონდეთ ქართული და მსოფლიო მეცნიერების განვითარებაში, იყვნენ წარმატებული პოლიტიკოსები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები, საზოგადო მოღვაწეები და საერთოდ ღირსეული მოქალაქეები.

ძვირფასო სტუდენტებო! ერთხელ კიდევ გილოცავთ შობა-ახალ წელს, გისურვებთ პირად ბედნიერებას და გვენდეთ თქვენი სახით გვინდა დავინახოთ ხვალინდელი გაერთიანებული, ძლიერი საქართველოს ღირსეული მამულიშვილები.

ანზორ დიასამიძე
ემერიტუსი პროფესორი,
ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი

„სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში 2016–2017“ – ის პრეზენტაცია

22 იანვარს, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში განათლების საერთაშორისო ცენტრმა ფრანგულ ინსტიტუტთან ერთად, ახალი სასტიპენდიო პროგრამების პრეზენტაცია გამართა.

შეხვედრის ფარგლებში, საფრანგეთში სწავლის გაგრძელების მსურველმა სტუდენტებმა დაწვრილებითი ინფორმაცია მიიღეს საგრანტო კონკურსის პირობებსა და პროცედურებზე.

განათლების საერთაშორისო ცენტრის ახალი სასტიპენდიო პროგრამა „სამაგისტრო პროგრამები საფრანგეთში 2016-2017“ - ის კონკურსის ფარგლებში გამარჯვებულ საქართველოს ოცამდე მოქალაქის სწავლასსაფრანგეთში, საქართველოსა და საფრანგეთის მთავრობები ერთობლივად დააფინანსებენ. პროგრამის მიზნობრივ ჯგუფს ბაკალავრიატის დამამთავრებელი კურსისა და მაგისტრატურის სტუდენტები წარმოადგენენ.

სასტიპენდიო პროგრამის მიზანია, საშუალება მისცეს საქართველოს ახალგაზრდობას, საფრანგეთში მიიღოს საერთაშორისოდ აღიარებული აკადემიური მაგისტრის ხარისხი როგორც ფრანგულენოვან, ასევე ინგლისურენოვან სამაგისტრო პროგრამებზე. სწავლის დასრულების შემდგომ, კურსდამთავრებულები საქართველოში დაბრუნდებიან და შესაბამის სფეროში 3 წლამდე ვადით განაგრძობენ მოღვაწეობას.

ყაზახი სტუდენტების ვიზიტი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, ორმხრივი მემორანდუმის ფარგლებში, ყაზახეთის სახელმწიფოდან, ასტანის იურიდიული უნივერსიტეტის სამართლის მაგისტრატურის სტუდენტთა 7 კაციანი ჯგუფი სტუმრობდა.

ყაზახი სტუდენტები ერთი კვირის განმავლობაში ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდებსა და ქართული სამართლის აქტუალურ საკითხებზე წაკითხულ ლექციებს ეცნობოდნენ. აგრეთვე, მათ კონსულტაციები გაეწიათ სამაგისტრო ნაშრომების კვლევა-ძიების შედარებით სამართლებრივ ანალიზსა და ქართული სამართლის განვითარების ამჟამინდელ ტენდენციებზე.

ფოლკორულმა ანსამბლმა „თირინმა“ გრანპრი მოიპოვა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფოლკორულმა ანსამბლმა „თირინმა“ საერთაშორისო საშობაო ფესტივალის „ჩვენ ერთად“ გრანპრი მოიპოვა. ფესტივალი ბელორუსიის რესპუბლიკის ქალაქ ბრესტში ახალგაზრდა შემოქმედთა ბრესტის სახელმწიფო საოლქო ცენტრის ორგანიზებით გაიმართა და მასში სხვადასხვა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შემოქმედებითი ჯგუფები ღებულობდნენ მონაწილეობას. უნივერსიტეტი ულოცავს ფოლკორულ ანსამბლს გამარჯვებას და უსურვებს წარმატებებს.

სტუდენტთა ნახატების გამოფენა გაიხსნა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტების ნახატების გამოფენა გაიხსნა. დამთავალიერებელს ერთი კვირის განმავლობაში შესაძლებლობა ექნება გაეცნოს სხვადასხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხუთი სტუდენტის 30-მდე ნამუშევარს. ღონისძიება მიზნად ისახავს თვითნასწავლი მხატვრების პროფესიული განვითარების ხელშეწყობასა და მათი შემოქმედების პოპულარიზაციას. გამოფენა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურისა და სტუდენტური ასოციაციის ორგანიზებით იმართება.

გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტის“ სტუმარია ბათუმის მე-16 საჯარო სკოლის დირექტორი, ქალბატონი თამთა კვარაცხელია.

„აქ ყველაზე კარგად ისმის ჩვენი საზოგადოების მაჯისცემა“

მისთვის ყოველი დილა დღის გეგმებისთვის თვალის გადავლებით იწყება. საღამოს რვა საათამდე სასკოლო ცხოვრებით ცხოვრობს. მიაჩნია, რომ საგანმანათლებლო სისტემაში ერთიანობა დარღვეულია. ვერავითარი გამოცდები, სერტიფიცირება და სქემა ვერ უშველის სისტემას, თუ მასწავლებლის შრომას საზოგადოება არ აღიარებს.

— ქალბატონო თამთა, როგორ შეხვდა ბათუმის მე-16 საჯარო სკოლა ახალ — 2016 წელს?

— ჩვენთვის ახალი წელი სექტემბერში იწყება. კალენდარული ახალი წელი სკოლაში, უბრალოდ, ზეიმებით, ნაძვის ხითა და სანტა კლაუსით აღინიშნება. ჩვეულებრივ, ბავშვებს ძალიან უხარიათ არდადეგები და სულმოუთქმელად ელოდებიან ხოლმე. ახალ წელს ახალი ოცნებები და იმედები მოაქვს, მეორე სემესტრიც ასე დავიწყეთ, ვნახოთ, როგორ განვახორციელებთ...

— თქვენ ბათუმის ერთ-ერთი მაღალკონტინგენტიანი სკოლის დირექტორი ხართ. როგორ შეაფასებთ თანამედროვე სასკოლო ცხოვრებას?

— ჩვენს სკოლაში ათასზე მეტი ბავშვი სწავლობს. ორ ცვლაში ვმუშაობთ. გარემოსგან, სოციალურ-ეკონომიკური პირობებისგან გამომდინარე, მძიმეა ჩვენი ყოფა. ძალიან ბევრ მოსწავლეს არ ჰყავს მშობლები ოჯახში, ისინი უცხოეთში არიან წასული სამუშაოდ, ვინც ქვეყანაშია, დილიდან საღამომდე მუშაობს და, პრაქტიკულად, დრო არ აქვს შვილებისთვის, არ იცნობენ მათ, ბევრია დანგრეული ოჯახებიდან, მშობლები არ არიან ჩართულნი შვილების აღზრდისა და სწავლა—განათლების საქმეში, ეს კი იწვევს გაუცხოებას თაობებს შორის და მხოლოდ სკოლა ვერ უმკლავდება პრობლემებს; დაბალია სკოლის თანამშრომელთა (არა მარტო მასწავლებელთა) ანაზღაურება. თუმცა, მიუხედავად ამდენი პრობლემისა, სასკოლო ცხოვრება ძალიან საინტერესოა, აქ ყველაზე კარგად ისმის ჩვენი საზოგადოების მაჯისცემა: ბავშვები, ახალგაზრდები ძალიან დიდ ენერგიას ასხივებენ, ეს არის გაცილებით გაბედული, თავისუფალი თაობა, ვიდრე — მათი მასწავლებლებისა.

— ზოგადად, რას იტყვით დღევანდელი სასკოლო სისტემის შესახებ?

— საგანმანათლებლო სისტემაში დარღვეულია ერთიანობა: სკოლამდელი აღზრდა, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და უმაღლესი სასწავლებლები ცალ-ცალკე ვითარდებიან, არ არის ერთიანობა და, სანამ ეს არ მოწესრიგდება, ვერც ერთი რეფორმა ვერ მოიტანს სასურველ შედეგს: სკოლაში უნდა მოდიოდეს კარგად მომზადებული მასწავლებელი, რომელიც კონკურენტუნარიან მოსწავლეს გაზრდის და აკადემიურად ძლიერი აბიტურიენტი უნდა მიდიოდეს პედაგოგიურ ფაკულტეტზე, ესე იგი, მასწავლებლობა უნდა იყოს პრესტიჟული პროფესია, ამაზე ზრუნვა კი სახელმწიფოს უპირველესი მოვალეობაა. ვერავითარი გამოცდები, სერტიფიცირება და სქემა ვერ უშველის სისტემას, თუ მასწავლებლის შრომას საზოგადოება არ აღიარებს და არ დააფასებს, ის არ უნდა იყოს ჩასაფრებული მასწავლებლის შეცდომებზე, მისი მიღწევების აღიარება უნდა მოხდეს.

— როგორი იყო მე-6 საჯარო სკოლის მოსწავლეების აკადემიური მოსწრება გასული წლის ბოლოსთვის?

— ჩვენს სკოლაში ჩვეულებრივი მოსწავლეები სწავლობენ ჩვეულებრივი მიღწევებით, ის არ ითვლება ქალაქის პრესტიჟულ სკოლად, უბრალოდ, ვცდილობთ, რომ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გავაკეთოთ და ეს ხან გამოგვდის, ხან — არა. გვაქვს მიღწევები იმ გაგებით, რომ ვცდილობთ შევუქმნათ მოსწავლეებს თავიანთი ნიჭისა და შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენის საშუალება, ყველა ვერ იქნება წარჩინებული, მაგრამ ყველა შეიძლება, იყოს წარმატებული. სწორედ ჩვენი ეს

პატარ—პატარა წარმატებები გვახარებს: გვყვანან წარჩინებული, სტიპენდიატი კურსდამთავრებულებიც, მაგრამ წარმატებად იმას უფრო მივიჩნევთ, რომ ჩვენი მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან სხვადასხვა სახის სამოქალაქო აქტივობებში და კარგი მოქალაქეები არიან.

— თქვენი დაკვირვებით, ახალგაზრდობა რომელ სპეციალობას ანიჭებს უპირატესობას და რატომ?

— სამწუხაროდ, ახალგაზრდების უმეტესობას უნდა იურისტობა და ეკონომისტობა, რადგან ეს ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით მაღალანაზღაურებად პროფესიებად ითვლება, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, აქაც ჭირს პროფესიონალი. ჩვენი საზოგადოების, ბაზრის ნაკლი ისაა, რომ ახალგაზრდებს ვერ ვთავაზობთ სამუშაო ადგილებს, ვერ ვაძლევთ მაღალი ხარისხის ტექნიკურ ცოდნას (მაგ. ინჟინერიაში), ამიტომ კადრების დეფიციტია, ამიტომ უცხოელი სპეციალისტები მუშაობენ მეტწილად დიდ, აღიარებულ სამშენებლო კომპანიებში. ბევრი სტუდენტი ამთავრებს უმაღლეს სასწავლებელს, მაგრამ თავისი სპეციალობით დასაქმებული ცოტაა. ძალიან დიდი

ყურადღება უნდა მიექცეს პროფესიული პროგრამების დახვეწასა და სამუშაო ადგილების შექმნას.

— გყავთ თუ არა ამა თუ იმ სფეროში გამორჩეული მოსწავლეები?

გვყავს ჰუმანიტარულ სფეროში გამორჩეული და წარმატებული მოსწავლეები, კურსდამთავრებულები: ამას ტრადიცია განაპირობებს,

რადგან მე—16 სკოლა ათწლეულების განმავლობაში ინგლისური ენის სწავლების გაძლიერებულ სკოლად ითვლებოდა და ჰუმანიტარულ დარგების სწავლების კარგი ტრადიცია გვაქვს. სახელებსა და გვარებს არ ჩამოვთვლი, რათა არავინ გამომრჩეს. ჩვენ ვაფასებთ ჩვენი სკოლის ყოველი მოსწავლის, კურსდამთავრებულის ყველაზე მცირე წარმატებასაც კი.

— თამთა კვარაცხელიას ერთი ჩვეულებრივი დღის ისტორია...

ადრე დილა, ჩვეულებრივ, იწყება საოჯახო საქმეებით, ჭიქა ჩაისთან განმარტოებით და დღის გეგმისთვის თვალის გადევნებით, მერე სკოლა დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე, ძალიან ბევრ ადამიანთან შეხვედრა, კოლეგებთან საქმიანი საუბრები, გაკვეთილები (ვასწავლი მე—5 კლასს), ბევრი სატელეფონო ზარი, საღამოს 8 საათიდან 10 საათამდე შვილთან და მის მეგობრებთან მეცადინეობა ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წელს აბიტურიენტია ჩემი უმცროსი ვაჟი), შემდეგ ისევ ოჯახური საქმეები და გვიან კი წიგნის წაკითხვა, ან წერილებზე პასუხის გაცემა, ან ფილმის ნახვა... ესაა სულ.

როგორ დავამარცხოთ გრიპის ვირუსი

*თემა სეზონურ გრიპთან დაკავშირებით კვლავაც აქტუალურია. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტს“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორის მოადგილე, ქალბატონი **ნინო ნიჟარაძე** ესაუბრება.*

— რამდენად სარისკო ზონაში ვიმყოფებით და არის თუ არა ეპიდემიის საფრთხე?

— გრიპი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული ინფექციაა. გრიპის სეზონური ეპიდემია ყოველწლიურად 3-5 მილიონ მძიმე შემთხვევას იწვევს მსოფლიოში. სეზონური გრიპი გრიპის A და B ვირუსით გამოწვეული მწვავე ინფექციური დაავადებაა, რომელიც იწვევს სეზონურ აფეთქებებს ზომიერი კლიმატის რეგიონებში (აშშ, კანადა, ევროპა, რუსეთი, ჩინეთი, იაპონია, ავსტრალია, ბრაზილია, არგენტინა), ხოლო ტროპიკული კლიმატის ქვეყნებში (ეკვატორული აფრიკა, აზიის სამხრეთ — აღმოსავლეთი) ახასიათებს წლიური აქტივობა. ცნობილია გრიპის ვირუსის სამი ტიპი: A, B, C. ამჟამად, მსოფლიოში სეზონურ გრიპს იწვევს A(H3N2), A(H1N1) ქვეტიპის და B ტიპის ვირუსები. გრიპის C ტიპის ვირუსი ხასიათდება მსუბუქი სიმპტომატიკით და ლოკალური ეპიდაფეთქებებით.

სეზონური გრიპის ვირუსი ყოველწლიურად ცირკულირებს, რაც განაპირობებს ადამიანთა გრიპით ავადობას. ზომიერი კლიმატური სარტყლის ქვეყნებში გრიპი ხასიათდება სეზონურობით (ზამთრის პერიოდში).გრიპის ვირუსის სხვადასხვა ტიპის ცირკულაციის გამო ადამიანები შესაძლოა ყოველწლიურად გახდნენ სეზონური გრიპით ავად.

საქართველოში ეპიდზედამხედველობა გრიპისმაგვარ დაავადებებზე ხორციელდება საყრდენი ბაზებით (წინასწარ შერჩეული სამედინო დაწესებულება). საყრდენი ბაზები განთავსებულია საქართველოს სხვადასხვა ქალაქების სამედიცინო დაწესებულებებში (თბილისი, ქუთაისი, ახალციხე, ბათუმი, ზუგდიდი). მონაცემები გროვდება ყოველკვირეულად და მათი ანალიზი კეთდება გრიპის სეზონის შესაბამისად (მეორმოცე კალენდარული კვირიდან მომდევნო წლის მეოცე კალენდარული კვირის ჩათვლით).

2016 წლის მე-3 კალენდარული კვირის ბოლოსთვის, გრიპის გავრცელების ინტენსივობა საქართველოში ეპიდემიოლოგიურ ზღურბლს არ აჭარბებს და პოლიკლინიკური მიმართვიანობის ინტენსივობა საშუალოდ ქვეყანაში შეადგენს 273-ს 100 000-ზე (არ აღემატება ეპიდემიურ ზღურბლს 450-500 მიმართვა 100 000 მოსახლეზე).

სამედიცინო დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, წლის მე–3 კვირის მდგომარეობით რეგიონში აღირიცხა გრიპისმაგვარი დაავადების 1548 ამბულატორიული და მძიმე მწვავე რესპირატორული ინფექციის სტაციონარული 209 შემთხვევა.

აჭარაში სულ გამოვლენილია H1N1 გრიპის 10 ლაბორატორიულად დადასტურებული შმთხვევა. მათ შორის 8 უკვე გამოჯანმრთელებულია, ხოლო 2 აგრძელებს მურნალობას სტაციონარში ეპიდსიტუაცია სტაბილურია ყველა მუნიციპალიტეტში, შემთხვევათა ზომიერი ზრდის ტენდენციით.

— რა იწვევს გრიპის ვირუსს და რა კლინიკური ნიშნები ახასიათებს მას?

— გრიპი ადვილად მოგზაურობს. ჩვეულებრივ, ჰაერის საშუალებით ვრცელდება დახველების ან დაცემინებისას, ასევე დაბინძურებული ხელებით. ადამიანებმა შესაძლებელია გაავრცელონ გრიპის ვირუსი ჯერ კიდევ მანამდე, სანამ გაიგებენ რომ ავად არიან, რომელიმე სიმპტომის გამოვლენამდე ერთი დღით ადრე და შემდგომი 5-7 დღის განმავლობაში.

როგორც წესი, გრიპის შემთხვევების უმეტესი რაოდენობა ყოველგვარი სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების გარეშე მთავრდება გამოჯანმრთელებით. თუმცა, გრიპი ზოგ შემთხვევაში შესაძლებელია გართულდეს, უფრო იშვიათად კი — გამოიწვიოს ლეტალური გამოსავალიც კი.

გრიპის ვირუსებით გამოწვეული ინფექციის კლინიკური გამოვლინება მერყეობს უსიმპტომო და ზომიერი მიმდინარეობიდან მძიმე და საშიში გართულებებით მიმდინარე ფორმებამდე, რომელიც შესაძლოა მოიცავდეს თანმხლები პათოლოგიების გამწვავებას, მძიმე ვირუსულ პნევმონიას პოლიორგანული უკმარისობით და ინვაზიურ ბაქტერიულ კოინფექციას.

- ინკუბაციური პერიოდი, ჩვეულებრივ, შეადგენს 2-3 დღეს, თუმცა შეიძლება გაგრძელდეს 7 დღემდე.
- პაციენტებს, თავდაპირველი გრიპის გაურთულებელი მიმდინარეობით შესაძლოა პროგრესულად გაუუარესდეთ მდგომარეობა დაავადების მძიმე ფორმის განვითარებით.
- მძიმე შემთხვევებში გაუარესება ჩვეულებრივ იწყება კლინიკური გამოვლინების დაწყებიდან მე-3 მე-5 დღეს.
- ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით ვირუსული პნევმონიისას, გაუარესება შეიძლება განვითარდეს ძალზე სწრაფად: 24 საათში ვითარდება სუნთქვის პროგრესირებადი უკმარისობა, რაც საჭიროებს გადაუდებელ დახმარებას ინტენსიური თერაპიის სახით ფილტვების დამხმარე ხელოვნური ვენტილაციის მიზნით.

გრიპისმაგვარი დაავადების სიმპტომებია: ცხელება, ხველა, ფარინგიტი, სურდო, თავის ტკივილი, ტკივილი კუნთებში, საერთო სისუსტე, ქოშინისა და სუნთქვის გაძნელების გარეშე.

- კუჭნაწლავის მხრივ დარღვევები: დიარეა და/ან ღებინება, განსაკუთრებით ბავშვებში

გრიპის ძირითად გართულებად ითვლება პნევმონია (ფილტვების ანთება), შედარებით იშვიათია შუა ყურის ანთებითა და თანმხლები ქრონიკული დაავადებების გამწვავებით გამოწვეული გართულებები.

— ყველაზე მეტად რისკ-ჯგუფებს მოსახლეობის რომელი კატეგორია განეკუთვნება?

გართულებათა განვითარების მაღალი რისკის ჯგუფებია;

- ჩვილები და ადრეული ასაკის ბავშვები, განსაკუთრებით 2 წლამდე, ორსულები და ხანდაზმულები 65 წელს ზევით.
- ადამიანები ჯანმრთელობის ისეთი დარღვევებით, როგორიცაა: ფილტვების ქრონიკული დაავადებები (მაგ. ასთმა, ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება), გულის ქრონიკული დაავადება (მაგ. გულის შეგუბებითი უკმარისობა), ნივთიერებათა ცვლის დარღვევები (მაგ. დიაბეტი), ღვიძლისა და თირკმელების ქრონიკული დაავადებები, ქრონიკული ნევროლოგიური დარღვევები, ჰემოგლობინოპათიები, იმუნოსუპრესიულ მკურნალობაზე მყოფნი, ბავშვები, რომლებიც ხანგრძლივად იღებენ ასპირინს და პათოლოგიური სიმსუქნით შეპყრობილნი.

— პირველადი დახმარებისათვის როგორ უნდა მოიქცეს პაციენტი?

გრიპის შემთხვევათა მატების ეტაპზე მნიშვნელოვანია დაავადებულთა თვითიზოლაცია: მაღალი ტემპერატურის, თავის, კუნთების, სახსრებისა და ყელის ტკივილით მიმდინარე დაავადებისას, ნაჩვენებია ავადმყოფთა იზოლაცია ბინაზე, ტემპერატურის დარეგულირებიდან კიდევ 24 საათის მანძილზე;

ასეთ შემთხვევებში სტანდარტულად ინიშნება მხოლოდ სიმპტომური მკურნალობა — სიცხის დამწევები (გარდა ასპირინისა), ტკივილდამაყუჩებლები და ა.შ. ისეთი სიმპტომების გამოვლენისას, როგორიცაა სუნთქვის გაძნელება, ქოშინი, ცხვირ-ტუჩის მიდამოს ციანოზი, მოვარდისფრო სისხლიანი ნახველი, ძილიანობა, ჩვილ ბავშვებში — ძუძუს წოვის შეუძლებლობა, გაუწყლოვება, ყიფლიბანდის დაძაბულობა — აუცილებელია სპეციალიზებული სამედიცინო დახმარება.

აქვე მინდა აღვნიშნო, საქართველოში გრიპის დადასტურების რამდენიმე ლაბორატორიული მეთოდის არსებობის მიუხედავად არ არის მიზანშეწონილი ყველა სავარაუდო შემთხვევის ლაბორატორიულად დადასტურება. რადგანაც სეზონური გრიპის შემთხვევაში ლაბორატორიული კვლევები მოწოდებულია მხოლოდ ქვეყნის მაშტაბით ზოგადი ვირუსოლოგიური მონიტორინგისათვის.

— რა პრევენციული საშუალებები არსებობს გრიპისგან თავის დასაცავად და როგორ შევაჩეროთ მისი გავრცელება?

— გრიპის ვირუსისგან თავისდაცვის საუკეთესო საშუალებად აღიარებულია გრიპის საწინააღმდეგო სეზონური ვაქცინაცია.

გრიპის ფართო გავრცელებისას რეკომენდებულია არაპირდაპირი დაცვის საშუალებების გამოყენება, კერძოდ:

- უმჯობესია დაავადებული ადამიანები დარჩნენ სახლში: ამით დაიცავენ თავს მოსალოდნელი გართულებისგან, ხოლო საზოგადოებას — დაავადების გავრცელებისგან;
- ჯანმრთელებმაც და დაავადებულებმაც შეძლებისდაგვარად ხშირად დაიბანონ ხელები საპნით და გამდინარე წყლით, რათა შემცირდეს ხელით ვირუსის გადატანის შესაძლებლობა;
- რაც შეიძლება ხშირად გაანიავეთ საცხოვრებელი ადგილი და ;
- გამოიყენეთ სველი წესით დალაგება;

თუ გაქვთ გრიპის სიმპტომები — დარჩით სახლში, ტემპერატურის დარეგულირებიდან შემდგომი 24 საათის განმავლობაში;

- იმ შემთხვევაში თუ დაავადება მიმდინარეობს მძიმედ და უჩვეულოდ ან დაავადებული მიეკუთვნება გრიპის გართულების მაღალი რისკის ჯგუფს, სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს, სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების მისაღებად.

და ბოლოს, მინდა კიდევ ერთხელ აღვნიშნო ის საკითხები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია ამ ეტაპზე:

განსაკუთრებული სიფრთხილე გამოიჩინეთ ორსულებმა და ქრონიკული დაავადებების მქონე პირებმა — მოერიდეთ მასიური თავშეყრის ადგილებს! გრიპის სიმპტომების გამოჩენისთანავე მიმართეთ ექიმს!

დაავადებულთა თვითიზოლაცია: თუ გაქვთ მაღალი ტემპერატურა, თავის, კუნთების, სახსრებისა და ყელის ტკივილით, დარჩით სახლში, მოერიდეთ ჯანმრთელ ადამიანებთან კონტაქტს;

მიიღეთ სიმპტომური მკურნალობა — სიცხის დამწევები (გარდა ასპირინისა), ტკივილდამაყუჩებლები და ა.შ.

იმ შემთხვევაში თუ გამოვლინდება ისეთი სიმპტომები, როგორიცაა — სუნთქვის გართულება, ქოშინი, ცხვირ-ტუჩის მიდამოს ციანოზი, მოვარდისფრო სისხლიანი ნახველი, ლეთარგია, ჩვილ ბავშვებში — ძუძუს წოვის შეუძლებლობა, გაუწყლოვება, ყიფლიბანდის დაძაბულობა — სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს! შესაძლოა თქვენ გესაჭიროებოდეთ ჰოსპიტალიზაცია და სპეციფიკური მკურნალობა!

ყაზახი მაგისტრანტები ბსუ–ში

მარატო სპანოვის სახელობის ყაზახეთის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მაგისტრანტები საბუნებისმეტყველო და ჯანდაცვის ფაკულტეტზე მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამას გაივლიან. საგანმანათლებლო პროგრამა „სამეცნიერო კვლევითი პროექტების ჩატარება მედიცინაში: პრინციპები, მეთოდოლოგია და პრაქტიკა“ ჯანდაცვის სფეროში მომუშავე სპეციალისტებზეა ორიენტირებული და მსმენელებს თეორიულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში ეხმარება კვლევითი პროექტების ჩატარებისას.

ყაზახ მაგისტრანტებს მოკლევადიან საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ტრენინგები ჩაუტარდებათ შემდეგ მიმართულებებში.

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის და კლინიკურ პრაქტიკაში გამოყენებული მტკიცებითი მედიცინის ძირითადი პრინციპები;

კლინიკური გაიდლაინისვალიდურობა და პრაქტიკული ღირებულება;

ჯანდაცვასა და მედიცინაში სტატისტიკის როლი და მნიშვნელობა, იმ ძირითად სფეროებში, სადაც გამოიყენება სტატისტიკის მეთოდები;

ბიოსტატისტიკის შესავალი, სტატისტიკური ანალიზის პრინციპები, სიხშირის საზომები, ჯანდაცვასა და მედიცინაში სტატისტიკის როლი და მნიშვნელობა და ა. შ.

სერიოზული და საინტერესო სამეცნიერო გამოკვლევა

გამომცემლობამ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მკითხველს ახლახანს მიაწოდა პროფესორ მალხაზ ჩოხარაძის ნაშრომი „ხანძთა და „ათორმეტ სავანეთა“ მხარის ძველი სალოცავები“. წიგნის რედაქტორები არიან პროფესორი მამია ფაღავა და ასოცირებული პროფესორი ზაზა შაშიკაძე. წიგნს რეცენზირება გაუკეთეს პროფესორებმა თინა შიოშვილმა, ოთარ გოგოლიშვილმა და მურმან გორგოშაძემ.

პროფესორ მალხაზ ჩოხარაძის აღნიშნული ნაშრომი ეხება ხანძთასა და კლარჯეთის „ათორმეტ სავანეთა“ მხარის ძველი სალოცავების კვლევას, ნაშრომში განხილული პრობლემები მიეკუთვნება ქართველოლოგიის ფრიად საჭირბოროტო პრობლემებს. აღნიშნულმა თემამ განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა დღეს, როცა საქართველო-თურქეთის სახელმწიფოთა სახელისუფლებო დონეზე წყდება საკითხი თურქეთის რესპუბლიკაში ქართული კულტურის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით.

პრობლემები, რომლებიც პროფესორ მალხაზ ჩოხარაძის სარეცენზიო ნაშრომშია განხილული, არაერთი თაობის მეცნიერთა კვლევის ობიექტი იყო. ამ პრობლემებზე სხვადასხვა კუთხით მუშაობდნენ ქართული კულტურის ისეთი გამორჩეული მკვლევრები როგორებიც იყვნენ: ვახუშტი ბატონიშვილი ალექსანდრე ქუთათელაძე, ნიკო მარი, პავლე ინგოროყვა, ვუკოლ ბერიძე, პავლე ზაქარაია, შოთა ამირანაშვილი, ლევან მენაბდე, სარგის კაკაბაძე, კორნელი კეკელიძე და სხვები. ავტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი აანალიზებს არა მხოლოდ აღნიშნული ცნობილი ქართველი მეცნიერ-მკვლევრების ავტორიტეტულ შეხედულებებს, არამედ განიხილავს უცხოელი (ნიკოლ და ჟან მიშელ ტიერები, დევიდ უინფილდი, რობერტ ედვარდსი, ბრუნო ბაუმგარტნერი, მ. ქადიროღლუ და სხვა) და თანამედროვე ქართველი მეცნიერ-მკვლევრების (შუშანა ფუტკარაძე, მამია ფაღავა, ზაზა შაშიკაძე, დავით ხოშტარია, ირინე გივიაშვილი, დარეჯან კლდიაშვილი, ვახტანგ ჯობაძე, ნოდარ შოშიაშვილი, როლანდ თოფჩიშვილი და სხვა) ნააზრევსაც და ამ „ზღვა მასალის“ მიუხედავად, კვლევის ორიგინალური მეთოდების გამოყენებით, თავიდან იცილებს, თანამედროვეობისთვის დამახასიათებელ, ეკლექტიზმს. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ნაშრომში დამოწმებული ლიტერატურა სრულყოფილად ასახავს საკვლევ პრობლემაზე, როგორც ადრინდელ, ისე თანამედროვე შეხედულებებს, რაც მკვლევარ მალხაზ ჩოხარაძის ამ სფეროში დიდ ერუდიციასა და განსწავლულობაზე მიუთითებს.

სარეცენზიო ნაშრომი შედგება წინათქმის, სამი ნაწილის, ბოლოთქმისა და მითითებული ლიტერატურისაგან.

პირველი ნაწილი სათაურით „ნარკვევები „ათორმეტ სავანეთა“ მხარის ისტორიიდან“, მოიცავს 5 თავს. პირველ ნაწილში ვრცლადაა გადმოცემული ათორმეტ სავანეთა მხარის წარსული და თანამედროვეობა, ქართული ენის იქ გავრცელების თანამედროვე გეოგრაფია, ჯერ კიდევ შემორჩენილი თქმულება-ლეგენდები და რწმენა-წარმოდგენები.

მეორე ნაწილი სათაურით „ათორმეტ სავანეთა“ ორი ეპოქა“ შედგება ორი თავისაგან, რომლებშიც დახასიათებულია „ათორმეტ სავანეთა“ მხარის სასულიერო და საერო ცენტრები: ანჩი, ტბეთი, არტანუჯი და კლარჯეთის თორმეტი სავანე — შატბერდი, დოლისყანა, ჯმერკი, დაბა, ბერთა, პარეხი, ოპიზა, ხანძთა, მიძნაძორი, წყაროსთავი, მერე, ბარეთელთა. საუბარია მათ ძველ დიდებასა და ამჟამინდელ სავალალო მდგომარეობაზე,

მესამე ნაწილი, სათაურით „თორმეტი ამბავი ათორმეტ სავანეთა მხარიდან“ გადმოგვცემს კლარჯეთის თუ შავშეთის მოსახლეობის ისტორიული მეხსიერების ანარეკლს — ზეპირსიტყვიერ მასალას თორმეტი ამბის სახით „ათორმეტ სავანეთა“ მხარიდან.

ნაშრომის აღნიშნული სტრუქტურით ავტორი იძლევა ტაო-კლარჯეთის სასულიერო და საერო ცენტრების ვრცელ და გამოწვლილვით ანალიზს. ნაშრომში გამოყენებულია ავტორის მიერვე მოძიებული დიდძალი მასალა, რაც მას საშუალებას აძლევს, ყოველი კონკრეტული დებულება გაამყაროს კონკრეტული მაგალითებით და წარმატებით მოახდინოს საკუთარი შეხედულებების დეტალური ანალიზი და არგუმენტაცია.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ნაშრომის ემოციური ფონი, — ნაშრომში დასმული პრობლემები ახლობელი, გულისშემძვრელი და ტკივილიანია ყველა ქართველისთვის, რის გამოც, ვერც ავტორი გაექცა სამეცნიერო შრომაში ემოციური ჩანართებისა და მინაწერების გაკეთებას, თუმცა, მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ეს, სამეცნიერო შრომისთვის დამახასიათებელი ლოგიკისა და დებულებათა ურთიერთკავშირის



შენარჩუნებით შეძლო. როგორც წიგნის სატიტულო გვერდიდან ვიგებთ მალე მკითხველი, ნაშრომში დასმული პრობლემების შესახებ მიიღებს დოკუმენტურ ფილმს, რაც კიდევ უფრო გაზრდის ნაშრომში ნაკვლევი პრობლემების ემოციურ მხარეს.

ნაშრომში წარმოდგენილია ორიგინალური კონცეფცია ხანძთის ლოკალიზაციასთან დაკავშირებით, საინტერესო ვარაუდებია გამოთქმული აგრეთვე შატბერდის, მერეს, ბარეთელთას, დაბის და სხვა სავანეების ადგილმდებარეობასთან დაკავშირებით. მეტად მნიშვნელოვანია აღმოჩენები, რომელიც ეხება ძეგლის წმიდა გიორგის ეკლესიას, დახატულას, როგორც ორიენტირს ანჩისა და ტბეთის ეპარქიათა საზღვრებისთვის; ორიგინალურადაა გააზრებული ძეგლის ზიარეთთან და საზოგადოდ, ზიარეთობის ტრადიციასთან დაკავშირებული საკითხები და აშ.

რამდენიმე სიტყვა ავტორის შესახებაც მინდა ვთქვა: პროფესორი მალხაზ ჩოხარაძე მარავალმხრივი მეცნიერ-მკვლევარია, მისი ინტერესების სფეროა — ლიტერატურის ისტორია და თეორია; თანამედროვე ქართული ლიტერატურა; სწავლების სტრატეგიები და მეთოდიკა; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს (თურქეთის საქართველოს) ისტორია და თანამედროვეობა; საქართველოს ეთნოლოგია; ეროვნული ცნობიერების საკითხები; პრაქტიკული ლოგიკა; ქართული ენა უცხოელთათვის და სხვა. შესაბამისად, ფართოა მისი შემოქმედებაც, მისი ავტორობით გამოიცა შემდეგი ნაშრომები: ეროვნული და ზნეობრივი პრობლემა ნიკო ლორთქიფანიძის „ჟამთა სიავეში“ ჟურ. „პირველი სხივი“, 24, თბილისი, 1993; გრიგოლ რობაქიძე, იოსებ გრიშაშვილი და ქართული სონეტის პრობლემა, ბსუ-ს შრომები, (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია) ტ.V,ბათუმი, 2003; სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს 1918 წლის ტრაგედია და ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა, რსუ-ს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „კრებული“, ტ. V ბათუმი, 2007; სამხრეთ საქართველოს პოლიტიკური პრობლემები XX საუკუნის 10—იანი წლების ქართულ მწერლობაში. აჭარის არ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება საარქივო სამმართველოს აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის მასალები. ბათუმი 2009; გალაკტიონ ტაბიძის საიდუმლო ისტორია, რსუ —ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები. ტ—XIII. ბათუმი.2009; გრიგოლ რობაქიძე და ქართული რომანის ჟანრული სპეციფიკა (რუს. ენაზე). კრებული „Инновационные аспекты исследования культуры, истории, антропологии, литературы и лингвистики стран Черноморского бассейна, მეორე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები. 2010 წ. ბათუმი—ბლაგოევგრადი; ბათუმში მოღვაწე პოეტები სოციალისტური რეალიზმის ეპოქაში და ტაო — კლარჯეთის სავანეთა ბედისწერა, კრებული „ჩვენი სულიერების ბალავარი“, ბსუ — ს ქრისტიანული კვლევის ცენტრის სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ტ.V, 2013; სამუსლიმანო საქართველო ქართველთა ცნობიერებაში, ბსუ-ს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „კრებული“, ტ. III. ბათუმი, 2002; პარხლის ქრისტიანული თემი XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში, რსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორისო კონფერენციის „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში“ მასალების კრებული. 2009. ბათუმი; ქართული ენა და ეროვნული იდენტობის ზოგიერთი საკითხი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე“. ბათუმი, კრებული რსუ ქრისტიანული კვლევის ცენტრის მასალები. 2009; ეროვნული ცნობიერების საკითხები სამხრეთ-საქართველოში XIX საუკუნიდან დღემდე და თანამედროვე შავშეთის ქართული სოფლები“, ბათუმი. რსუ-ს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის კრებული VI . 2009; ჟურნალი „ფიროსმანი“ და შენოლ თაბანის კლარჯული ქრონიკები, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრის კრებული, ტ. IX, 2015; „ართვინის მოკლე კითხვარი“ და ჭოროხის აუზის მოსახლეობის თვითშეფასების და უთიერთშეფასების ზოგიერთი საკითხი (მეჰმეთ ალი ქესქინთან ერთად), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქრისტიანული კვლევის ცენტრი და ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ისტორიისა და არქეოლოგიის განყოფილების საერ-თაშორისო სამეცნიერო კონფერენციის „ჩვენი სულიერების ბალავარი“ მასალები, ტ. VII, 2015 წ., თბილისი; ქართველი რომანტიკოსების შემოქმედება, ბათუმი, 2007; დავით გურამიშვილის შემოქმედება, ბათუმი, 2007; წერის გაკვეთილები დამწყებთათვის, ნაწილი პირველი, წერითი მეტყველების ანბანი, ბათუმი, 2015; წერის გაკვეთილები დამწყებთათვის, ნაწილი მესამე, მხატვრული ტექსტის ანალიზის საფუძვლები, ბათუმი, 2015; ზოგადი უნარები, ნაწილი I-IV, ბათუმი, 2008-2009; ქართული ენა უცხოელთათვის (სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი), სახელმძღვანელო (ა. მოსწავლის წიგნი; ბ. პრაქტიკული სავარჯიშოების რვეული; გ. ელექტრონული ანბანი და ტექსტები), ბათუმი 2015.

მისასალმებელია, რომ ბატონი მალხაზის შემოქმედებაში ძირითად მიმართულებად „სამხრეთ—დასავლეთ საქართველოს (თურქეთის საქართველოს) ისტორია და თანამედროვეობა“ ყალიბდება. ამ მიმართულებით გამოქვეყნებულ ნაშრომებთან ერთად ბატონი მალხაზი პრაქტიკულადაც იღწვის თურქეთელ ქართველებზე, მისი და ქალბატონ თინა შიოშვილის ხელმძღვანელობით 2015 წლის 26 ივნისს ჩვენს უნივერსიტეტში უცხოელმა დოქტორანტმა მეჰმეთ ალი ქესქინმა დაიცვა სადოქტორო დისერტაცია. ეს იყო პირველი უცხოელი, რომელმაც ბათუმის უნივერსიტეტში დაიცვა დისერტაცია.

და ბოლოს კვლავ სარეცენზიო ნაშრომს მივუბრუნდეთ და დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ ავტორის მაღალი პროფესიონალიზმისა და მოცემულ სფეროში ღრმა ცოდნის წყალობით, ქართველოლოგიას შეემატა, არაერთი სიახლის შემცველი, ორიგინალური, სერიოზული და საინტერესო სამეცნიერო გამოკვლევა. რომლის გამოქვეყნებით ქართულენოვანი მკითხველი მიიღებს ეროვნული ღირებულებებით დამუხტულ ნაშრომს, რომლის თეორიულ ღირებულებას ნაშრომში მოცემული ორიგინალური იდეები წარმოადგენს, ხოლო პრაქტიკული თვალსაზრისით იგი შეიძლება გამოდგეს როგორც სტუდენტების, ასევე მოსწავლეების სასწავლო მასალად საკმაოდ საინტერესო საკითხების — ანჩის, ტბეთის, არტანუჯის, შატბერდის, დოლისყანას, ჯმერკის, დაბას, ბერთას, პარეხის, ოპიზას, ხანძთას, მიძნაძორის, წყაროსთავის, მერეს, ბარეთელთას... — შესასწავლად.

ვულოცავთ ბატონ მალხაზს მორიგი წიგნის დაბადებას და ვუსურვებთ მასაც და მის ახალ წიგნსაც ერთგულ თაყვანისმცემლებს.

მურმან გორგოშაძე
პროფესორი

მამია ფაღავა — 60

გამორჩეულ მკვლევარს, მრავალი სამეცნიერო ნაშრომის ავტორს, ქართველოლოგიის ცენტრის ხელმძღვანელს, მომავალი თაობების ღირსეულ მოძღვარს, პროფესორ მამია ფაღავას დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

ბატონ მამიას უნივერსიტეტთან ურთიერთობის ოთხ ათეულ წელზე მეტი აკავშირებს. მთელი მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობა მას დაუკავშირა და დღემდე ერთგულად ემსახურება. ის მუდამ ფხიზლად დგას ქართული ენის სადარაჯოზე. ბატონი მამია იმ პიროვნებათა, იმ მეცნიერთა შორისაა, რომელთა ღვაწლიც ქმნის უნივერსიტეტის სახეს და გვაძლევს უნივერსიტეტელობით სიამაყის საფუძველს.

პედაგოგიური საქმიანობა თხილნარის საშუალო სკოლიდან დაიწყო. 1981-1984 წლებში სწავლობდა თსუ-ს მიზნობრივ ასპირანტურაში ახალი ქართული ენის კათედრაზე; პროფ. ივანე ქავთარაძის ხელმძღვანელობით მოამზადა და დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. ბათუმში დაბრუნების შემდეგ მუშაობდა მშობლიურ უმაღლეს სასწავლებელში: ლაბორანტად, ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანად, ქართული ენის კათედრის გამგედ, უნივერსიტეტის სამეცნიერო-კვლევითი დეპარტამენტის დირექტორად, რექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში... ნიშანდობლივია და ღირს ხაზგასასმელად, რომ მამია ფაღავას, ასპირანტურიდან დაბრუნების შემდეგ, უნივერსიტეტის გარდა არსად უმუშავია — გული არ მიუწევდა სხვაგან!

ბატონი მამიას სამეცნიერო მოღვაწეობის ახალი ეტაპი იწყება 1995 წლიდან, როდესაც ბსუ-ს ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩამოყალიბდა „ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის ლაბორატორია“, რომლის ხელმძღვანლადაც დაინიშნა იუბილარი, იმხანად ახალგაზრდა სპეციალისტი. ლაბორატორიას უნდა შემოეკრიბა გამოცდილი თუ ახალგაზრდა სპეციალისტები და ეკვლია ისტორიული სამხრეთი საქართველოს ყოფა და კულტურა. იმ პერიოდში თურქეთთან დაგმანული საზღვარი გაიხსნა და ქართველ მეცნიერებსაც სამხრეთი საქართველოს კვლევის შესაძლებლობა მიეცათ. ეს თაობათა ოცნება იყო და, ბუნებრივია, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს უნდა ეთქვა თავისი სიტყვა. მეტად მნიშვნელოვანი იყო 1995 წლის აგვისტო-სექტემბერში ლაბორატორიის წევრთა მიერ მოწყობილი პირველი კომპლექსური ექსპედიცია ტაოში, რითაც უნივერსიტეტში დაიწყო ჭოროხის ქვეყნების კვლევის ახალი ეტაპი.

90-იანი წლების ძნელბედობამ ლაბორატორიის მუშაობა დააბრკოლა. განვითარების ახალი ეტაპი დაიწყო 2000 წელს, როცა შეიქმნა „მემედ აბაშიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი“. 2013 წლიდან მას ეწოდა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართველოლოგიის ცენტრი. ცენტრთან ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი კომპლექსური ექსპედიცია, დაარსდა პერიოდული გამოცემა, „კრებული“, რომელსაც 2005 წლიდან მამია ფაღავა რედაქტორობს. 2012 წლიდან დაარსდა სერია „ისტორიული სამხრეთ საქართველოს ყოფა და კულტურა“. სიმბოლურია, რომ ამ სერიის პირველ წიგნად, მამია ფაღავას რედაქციითა და გამოკვლევით, გამოიცა ნ. მარის „მოგზაურობის დღიურების“ ქართული თარგმანი, 2005 წელს გამოიცა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი „ხერთვისი“ — დამატება ცენტრის „კრებულისა“.



სამეცნიერო ცენტრში მუშაობა რამდენიმე მიმართულებით წარიმართა: განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კომპლექსური ექსპედიციების მოწყობა ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური, ეთნოლოგიური და არქეოლოგიური მასალების შესაგროვებლად. მარტო იმის თქმა რად ღირს, რომ 1995 წლიდან დღემდე, პროფესორ მამია ფაღავას ხელმძღვანელობით, მოეწყო 23 ექსპედიცია. მასშტაბური საველე სამუშაოები ჩატარდა როგორც ჭოროხის აუზსა და ლაზეთში, ასევე თურქეთის შიდა პროვინციებში, მუჰაჯირთა შთამომავლებით დასახლებულ რეგიონებში. ცხადია, არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა მოპოვებული მასალების დამუშავებასა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას, ფოტო და ვიდეო არქივის შექმნას, თურქეთის სიძველეთსაცავებში საქართველოს კუთხეების ოსმალური აღწერის მასალების მოპოვებას, ქართულად თარგმნა და სამეცნიერო მიმოქცევაში შემოტანას და ა.შ.

მოკლედ, მამია ფაღავა სათავეში უდგას ჭოროხის აუზის, როგორც ერთიანი კულტურული სივრცის, კვლევის საკმაოდ მასშტაბური პროექტს. აღსანიშნავია აგრეთვე, ცენტრის მეცნერთა მიერ შესრულებული წარმატებული საგრანტო პროექტები: უკვე დასრულებულია: 1. „შავშეთი;“ 2. „სარფი“; 3. „კლარჯეთი“. (დამფინანსებელი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი). მიმდინარე პროექტია „მუჰაჯირობის (გადასახლების) ისტორია და ქართველ მუჰაჯირთა შთამომავლები თანამედროვე თურქეთში“ და ა.შ. ბუნებრივია, უპირველესად სწორედ იუბილარის სამეცნიერო პუბლიკაციები უნდა აღინიშნოს, რომელთაგან რამდენიმე მონოგრაფიაა: სამხრეული დიალექტები და ქართული სამწერლობო ენა (V-XVIII სს), — მ. ცინცაძესთან ერთად (1998); „შავშეთი“ — ავტორთა ჯგუფთან ერთად (2011 წ.); „შავშური ჩანაწერები“ — (2011 წ) და სხვა. ქართულად ითარგმნა და გამოიცა „ნ. მარის შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები“ — მ. ფაღავას გამოკვლევითა და რედაქციით (2013).

ბუნებრივია, ჩვენ ყურადღებას უპირველესად ცენტრის კვლევების პრიორიტეტულ მიმართულებებზე ვამახვილებთ. ბსუ-ს არაერთი მეცნიერის კვლევის პრიორიტეტი სწორედ სამეცნიერო მიმოქცევაში ახლად შემოსული მასალები გახდა. დაიწერა ათეულობით სამეცნიერო ნაშრომი, სტატია, სადოქტორო დისერტაცია თუ მონოგრაფია. აქვე აღვნიშნავთ, რომ მამია ფაღავა სამხრეთ-საქართველოს უწოდებს ჭოროხის ხეობას — აჭარასა და „თურქეთის საქართველოს“. აქაური მეტყველების აღსანიშნავად შემოაქვს ტერმინები „სამხრული კილოები“ და „სამხრული მეტყველება“. მას მიაჩნია, რომ ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა, ამიტომაც უნდა გამოიყოს დიალექტთა ცალკე ჯგუფი და ეწოდოს სამხრული კილოები//დიალექტები ან სამხრული მეტყველება. ეს ტერმინი, მკვლევრის შეხედულებით, ასახავს როგორც ახლანდელ, ისე ისტორიულ ვითარებას. უკანასკნელ ხანს კვლევის შედეგები თეორიულად განზოგადდა პროფესორ მ. ფაღავას ოთხ მნიშვნელოვან ნაშრომში, რომლებიც ეხება ბრუნებისა და უღლების ძირითადი პარადიგმებს ტაოურ, შავშურ და კლარჯულ კილოებში („საენათმეცნიერო ძიებანი, 38-ე ტომი; ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, მე-13 ტომი, თანაავტორი ნ. ცეცხლაძე) და ვრცელ გამოკვლევაში „სამხრული კილოები, შესწავლის მდგომარეობა და კვლევის პერსპექტივები (ქესს. ტ. XIII, 2015).

ბატონ მამიას, როგორც ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს, დიდი წვლილი მიუძღვის დოქტორანტთა დაფრთიანებაში. არაერთმა დოქტორანტმა დაიცვა დისერტაცია მისი ხელმძღვანელობით. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის ზაფხულში ბათუმის უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაცია დაიცვა პირველმა უცხოელმა, ტომით შავშმა მეჰმეთ ალი ქესქინმა. იგი სწორედ ქართველოლოგიის ცენტრის თანამშრომლებთან ერთად მუშაობდა ჭოროხის ქვეყნებში და ქართულ ენაზე დაიცვა დისერტაცია „კულტურული მეხსიერების საკითხი ჭოროხის აუზის ზეპირსიტყვიერებაში“ (სამეცნიერო ხელმძღვანელები პროფ. მ. ჩოხარაძე და პროფ თ. შიოშვილი).

ქართველოლოგიის ცენტრის საქმიანობის მასშტაბზე მიუთითებს ისიც, რომ დღემდე ჩატარდა 15 სამეცნიერო კონფერენცია და გამოიცა „კრებულის“ 10 ტომი. „კრებულებში“ სამეცნიერო ნაშრომებთან ერთად იბეჭდება ექსპედიციების მასალები. ეს მასალები შეტანილია აგრეთვე ქართულ დიალექტოლოგიურ კორპუსში.

ფასდაუდებელია ბატონი მამია ფაღავას დამსახურება ქართველოლოგიის განვითარებაში. მას არაერთი ჯილდო აქვს მიღებული. გასულ წელს ბსუ-ს 80 წლისთავთან დაკავშირებით ღირსების მედლით დააჯილდოვეს. ყველაზე დიდი ჯილდო კი სიყვარულია, რომლითაც ის სარგებლობს საზოგადოებაში.

უანგარობით, ჰუმანურობით, ტოლერენტობით და ამავე დროს სამართლიანობით გამორჩეულ კოლეგასა და მეგობარს გულითადად ვულოცავთ 60 წლის იუბილეს. ვუსურვებთ ჯანის სიმრთელეს, დღეგრძელობას და მომავალ სამეცნიერო წარმატებებს ჩვენი კუთხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ.

ქართული ფილოლოგიის
დეპარტამენტი

ვალი ქართველისა!

ბატონო მამია,

ახლახან თქვენს „შავშურ ჩანაწერებს“ ვკითხულობდი და თქვენთან ერთად დავდიოდი ძირძველ ქართულ მიწაზე; და მეც ვგრძნობდი თქვენთან ერთად იმ ტკივილსა და სიხარულს, რასაც თქვენ განიცდიდით იმჟამად; თქვენთან ერთად მეც მესმოდა ჩვენი საამაყო წინაპრების სუნთქვა... დიდი მადლობა, ამ ყოველივეს ჩვენამდე მოტანისათვის... და არა მხოლოდ ამისთვის: ის რაც თქვენმა შავშურმა ექსპედიციამ გააკეთა ჩვენი შავშელი თანამემამულეების მეტყველების, ფოლკლორის, ისტორიის და ყოფა-ცხოვრების გასაცნობად, ფასდაუდებელია... ღირს ცხოვრება, თუნდაც ერთი ისეთი წიგნის შესაქმნელად, როგორიცაა „შავშეთი“... თქვენ ღმერთმა გარგუნათ ეს ბედნიერება!.. და ვიცი, დღედღეზე „კლარჯეთსაც“ რომ მიიღებს მკითხველი, კლარჯების ყოფა-ცხოვრებასაც რომ გავეცნობით და „კლარჯული ჩანაწერებით“ რომ მოგვატარებთ კლარჯეთს... და ღირს ერთი კაცის ცხოვრება თუნდაც ამისთვის... ეს ბედნიერებაც გარგუნათ ღმერთმა... დიდი ქართული საქმეა ეს, ბატონო მამია, და უღრმესი მადლობა ამისათვის... ვიცი, ოცნებაა თქვენი, ტაო მოგვატარო და ტაოელებიც ისე გაგვაცნო, როგორც ეს შეძელით შავშეთსა და კლარჯეთში... ვიცი, თავს მოვალედ თვლი, მუჰაჯირების წინაშეც მოიხადო შენი ვალი — ვალი ფილოლოგისა, ვალი ენათმეცნიერისა, ვალი ქართველისა! მჯერა, ღმერთი მოგცემს დღეგრძელობას, ჯანმრთელობას, ძალ-ღონეს ამ მიზნების შესასრულებლად! ამ ბედნიერებასაც მოგანიჭებთ ღმერთი!

იდღეგრძელეთ, ბატონო მამია!

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი გოგი გოგოლაშვილი

მილოცვა

სასიხარულოა, რომ მაქვს ბატონ მამიასთან ურთიერთობის ბედნიერება და მიწევს ამ დამოკიდებულების, პატივისცემის, სიყვარულის გამოვლენა განსაკუთრებული საბაბის, მისი 60 წლის იუბილეს გამო. მაქვს პატივი, ბსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქართული ფილოლოგიის სპეციალობის სტუდენტების სახელით გულწრფელი სურვილებით მივულოცო ჩვენს საყვარელ ლექტორს სახელოვანი იუბილე.

გქონდეს როგორც სტუდენტს ბატონ მამიასთან ურთიერთობა, ნიშნავს, სწავლობდე აკადემიაში, სადაც იღრმავებ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს და ამავდროულად იზრდები, ითვისებ ადამიანურ ღირებულებებს. მინდა მივულოცო მას ეს მიღწევები, წარმატებები, ადგილი, რომელიც დაიმკვიდრა ფართო საზოგადოებაში. ჩემთვის, როგორც სტუდენტისთვის, მეტად შთამბეჭდავი და განუმორებელია მისი ჰუმანიზმი და მაღალადამიანური ღირებულებები. თანადგომა მისი ცხოვრებისეული დევიზია. „შეიძლება მე არ შემმთხვეოდა, მაგრამ საშინლად მტკენია“, — ბრძანებს ბატონი მამია ერთ-ერთ ინტერვიუში. სწორედ ეს გულწრფელი, უშუალო დამოკიდებულება ბადებს ადამიანებში უდიდეს ნდობას, სიყვარულსა და პატივისცემას. სწორედ ამ თვისებების წყალობით იქმნება საოცარ სითბო და კომფორტი მასთან ურთიერთობაში. გარდა ადამიანური ღირებულებებისა, ბატონი მამია თავისი პროფესიონალიზმით, სამეცნიერო ინტერესების ფართო სფეროებით და შრომისმოყვარეობით, წარუშლელ კვალს ტოვებს ყველა თაობის ადამიანში. „მეცნიერისათვის კითხვა მხოლოდ სიამოვნება არაა, კითხვა შრომაა“, — აღნიშნავს პროფესორი და დაუღალავი შრომისაკენ მოუწოდებს თაობებს. ის ადამიანის გადარჩენის ერთ-ერთ ფაქტორად სწორედ შრომას მიიჩნევს და იხსენებს წინააღმდეგობებს, რომლებიც ჭეშმარიტი სვლით გადაულახავს — „ყოველთვის ვაკეთებდი იმას, რაც უნდა გამეკეთებინა და ვცხოვრობდი ისე, როგორც უნდა მეცხოვრა. აქედან გამომდინარე, ვძლევდი წინააღმდეგობებს“, — ბრძანებს ღვაწლმოსილი ადამიანი. შედეგი ნათელია — ბატონი მამია სიმართლის, სიკეთის, სიძლიერის ეტალონია. სწორედ სიძლიერის გამოვლინებაა სიტყვები — „ხანდახან თუ არა ის შინაგანი სიჯიუტე, ახლის დაწყების დაუოკებელი სურვილი, ძალიან გაძნელდებოდა ყოველივე ეს“. მისი დაუღალავი შრომის ნაყოფით გაიზრდებიან თაობები, რომლებიც მადლიერების გრძნობით განიმსჭვალებიან მისდამი. პირადად ჩემთვის უდიდესი პატივი და ფუფუნებაა ბატონი მამია ფაღავას მოწაფეობა და უღრმესი მადლობა მას ასეთი წმინდა, წრფელი ურთიერთობისთვის. მინდა ვუსურვო მდიდარი, ნაყოფიერი შემოდგომა, ათწლეულების შედეგად დათესილი შრომის, სიკეთის, ერთი ათასად მომკა და კიდევ ბევრი ათეული წლის განმავლობაში საზრდოობა, მოღვაწეობა, მშვიდი და ლამაზი, ნათელი მომავალი.

მოვუწოდებ ძვირფას საზოგადოებას, მეტადრე სტუდენტებს — არა ხვალ და ზეგ, არამედ დღესვე, დღეიდან დავაფასოთ ადამიანი, ლექტორი, მეცნიერი, რომელიც ჩვენ თვალწინ, ჩვენთან ერთად ქმნის ეპოქას!

მარინა მჟავანაძე,
ქართული ფილოლოგიის სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტი

იუბილეზე წარმოსათქმელი

ჩვენს დღევანდელ იუბილართან — პროფესორ მამია ფაღავასთან ჩემი ნაცნობობა იწყება მისი სტუდენტობისა და ჩემი ლექტორობის პერიოდიდან. ის იყო იმ სტუდენტების რიცხვში, რომლებიც ღრუბელივით იწოვენ მიწოდებულ მასალას; მასში თავიდანვე იგრძნობოდა ლინგვისტიკის ნაპერწკალი.

გადიოდა დრო... ღვივდებოდა ეს ნაპერწკალი; ღვივდებოდა ასპირანტობის, უნივერსიტეტში მუშაობის წლებში და ჩვენი იუბილარიც თანდათან ყალიბდებოდა ნაყოფიერ მკვლევრად. ამას მოწმობს მისი მეცნიერული შრომები, რომლებმაც გამოქვეყნებისთანავე მიიპყრეს ჩვენი ცნობილი ენათმეცნიერების ყურადღება.

ამ ხნის განმავლობაში ჩვენი ნაცნობობაც მრავალმხრივ ურთიერთობაში გადაიზარდა. იგი განსაზღვრა საერთო საქმემ, ქართული ენის სიყვარულმა. ვმუშაობდით და, მადლობა ღმერთს, დღესაც ვმუშაობთ ერთად, გვჯერა ერთმანეთის, ვუსმენთ და ვავსებთ ერთმანეთს, ჩვენს მოკრძალებულ სიტყვას ვამბობთ მეცნიერებაში.

ერთობლივი მუშაობის საინტერესო და შთამბეჭდავ ნაწილად მიმაჩნია ჩვენი უნივერსიტეტის ქართველოლოგიის ცენტრის მუდმივმოქმედი ექსპედიციები და მათში მონაწილეობა (აქვე ვიტყვი, რომ ამ ექსპედიციებში ჩემი ჩართვით ამიხდინა ახალგაზრდობის ოცნება — უშუალოდ მენახა ჩვენებურები და მომესმინა მათი ქართული. ამისთვის დიდ მადლობას მოვახსენებ მას ამჯერადაც).

აქ გამოჩნდა მ. ფაღავა, როგორც ჩვენი ისტორიის, მატერიალური კულტურის ძეგლების ჩინებული მცოდნე, უტყუარი ენობრივი ალღოს მქონე დამკვირვებელი, რომელსაც (ჩემგან განსხვავებით) შეუიარაღებელი სმენით შეუძლია უმლაუტის, უმარცვლო და მარცვლიანი ი და უ ხმოვნების, არისა და ხანის აღქმა და მათი მეცნიერეული ინტერპრეტაცია (თუ შეცდა, ამის აღიარებაც).

აქ გამოჩნდა იგი როგორც ხელმძღვანელი, რომელსაც სტკივა საერთო სატკივარი, რომელიც უკვე კარგად იცნობს ჩვენებურების ყოფას, ფსიქოლოგიას, ენას და შეუძლია წონადი სიტყვა თქვას მათზე. ამის დასტურია მ. ფაღავას შრომები სამხრული მეტყველების შესახებ, მისი „შავშური ჩანაწერები“, რომელსაც აუღელვებლად ვერ წაიკითხავ (და მაინც, ვინ იცის, მერამდენჯერ ვკითხულობ), ვკითხულობ და ვამბობ, ჩემთვის, ამჯერად თქვენთვისაც, როგორი თხრობა შეძლებია: ჩართულით, განკერძოებული გამოთქმებით, იუმორით გაჯერებული წინადადებებით, ექსპედიციის წევრებისათვის მორგებული მახასიათებლებით. ამ, ავტორის ემოციებით, უსაზღვრო სიყვარულით სავსე წიგნზე შეიძლება დაუსრულებლად ილაპარაკო; იკითხო, ავტორთან ერთად გიხაროდეს და გწყინდეს, გულსა და სულს გიჩქროლებდეს მონათხრობი. . .

სამხრული ქართული, ჩვენებურთა ქართული სხვა საკითხებთან ერთად მომავალი კვლევის ერთ-ერთ მთავარ საკითხად გამოიკვეთა.

მომავალ, ახალ წარმატებებს გისურვებ შემდგომ მუშაობაში, კვლავ გაგეხარებინოს მკითხველები.

გილოცავ სამოცი წლის იუბილეს, გისურვებ ხანგრძლივ, სახელიან სიცოცხლეს ოჯახთან ერთად; წლებთან ერთად მეცნიერული შრომების სიმრავლეს, ახალი სიტყვის თქმას ენათმეცნიერებაში!

ძალიან მინდოდა, ვალი გადამეხადა — 70 და 85 წელიც მომელოცა, მაგრამ... ამ იუბილეების მოსალოცად ესტაფეტას დღევანდელი იუბილეს სხვა მომლოცველებს გადავსცემ და ანდერძად ვუტოვებ მაია ბარამიძეს!

მერი ცინცაძე

როცა თარიღი მხოლოდ საბაბია!..

მამია ფაღავას თავისი სიჭაბუკის ასაკი დაუგვირგვინებია!

60 წელი თურმე ძალიან ბევრია იმისათვის, რომ ბატონი მამიას მსგავსმა მამულიშვილმა დიდი საქმეები წამოიწყოს და განასრულოს...

ამავე დროს, 60 წელი ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ სამამულო საქმეთა წამომწყებმა ყველა გეგმა და ჩანაფიქრი განახორციელოს...

ამას, სულ მცირე, ორი იმდენი დრო უნდა, რაც გაუვლია. ამიტომაც ჩვენ უპირველესად ჰასაკის გაორმაგებას ვუსურვებთ!..

მამია ფაღავა ქუდბედიანი კაცია, რადგან მან თავისი ელდორადო იპოვა — ულევი და უშრეტი ოქროს საბადო. მართალია იგი ოქროსმაძიებელივით ეგებისად არ წასულა ამ დიდი საგანძურისაკენ, მისი კომპასი მიწისა და გულის ძახილი იყო, მაგრამ ალბათ თვითონაც ვერ წარმოიდგენდა სრულად, რა საიდუმლოებას გაუხსნიდა მშობელი ქვეყნის ისტორიის წიაღი...

მამია ფაღავა ტალანტით დაჯილდოებული კაცია და ამ ტალანტს განგება თავის რჩეულთ უწილადებს...

მამია ფაღავას განსაკუთრებული ნიჭი და გენეტიკური საგზალი მისი ადამიანური ურთიერთობის უნარია — თავისიანთანაც და უცხოსთანაც, ქალთანაც და კაცთანაც, უფროსთანაც და უმცროსთანაც, მასწავლებელთანაც და მოწაფეებთანაც...

დიდებულია, რომ მამია ფაღავას სახელსა და გვარს აღარ სჭირდება სამეცნიერო და აკადემიური ტიტულების მიწერა...

მისი ნაშრომები — მონოგრაფიები, სტატიები, მასალები, მოხსენებები... სანდოა და უტყუარი, აღბეჭდილი ყველა მეცნიერული ღირსებით...

ჩვენთვის, არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტისათვის, გამორჩეულად ძვირფასია ჩვენი აჭარელი კოლეგების, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, მისი თითოეული თანამშრომლის სიკეთე და წარმატება. მით უფრო ძვირფასია ჩვენი გულითადი მეგობრისა და გამოცდილი კოლეგის ეს საიუბილეო თარიღი...

და რადგანაც არ გვეძლევა საშუალება, პირადად დავესწროთ ამ აღიარებისა და სიყვარულის დემონსტრაციას, ნება გვიბოძეთ ამ წერილით გადმოგცეთ ჩვენი საერთო პატივისცემა და სიყვარული, რომლის გასამჟღავნებლადაც თარიღი მხოლოდ საბაბია — დიდებული საბაბი!

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სახელით,
ავთანდილ არაბული
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

საინფორმაციო საზოგადოებაში პოლიტიკის ტრანსფორმაციის საკითხისათვის — კიბერპოლიტიკა

თანამედროვე ეტაპზე, პოლიტიკამ (პროცესი) როგორი სახითაც შევეჩვიეთ მას, ეტაპობრივი ტრანსფორმაცია დაიწყო, ვფიქრობ ეს ცვლილებები შესაძლებელია შევაფასოთ, როგორც მასობრივი პოლიტიკიდან კიბერპოლიტიკაზე გადასვლის პროცესი. ბუნებრივია საბაზისო პრინციპები საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში, რომელიც უკავშირდება ბრძოლას ხელისუფლებისთვის ან/და ლეგიტიმურ ძალადობას, არ იცვლება და როგორც ჩანს, ამ ფორმით ის მომავალშიც შენარჩუნდება. იცვლება პოლიტიკის განხორციელების სოციალური საფუძვლები, პოლიტიკური პრინციპების განვითარების მასშტაბები, გარემო და აქტივობის სტილი.

ფაქტია, რომ XX საუკუნეში პოლიტიკა დაკავშირებული იყო რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტორთან. ის, პირველ ყოვლისა, ეფუძნებოდა სოციალურ სტრუქტურას, ე.წ. ინდუსტრიულ საზოგადოებას, რომელიც თავის მხრივ, ეფუძნებოდა მასშტაბურ სამრეწველო წარმოებას, რითაც პოლიტიკური კომუნიკაცია ხორციელდებოდა ტრადიციული მეთოდებით (გაზეთი, ტელევიზია, რადიო), ინფორმაცია გადაიცემოდა მასებში რამდენიმე გავლენიანი წყაროს მიერ. გასული XX საუკუნე, ასევე მიჩნეული იყო პოლიტიკური იდეოლოგიების საუკუნედ, რომელსაც ძლიერ ფუნდამენტურ ფასეულობებს ეფუძნება. საკუთრივ პოლიტიკური პროცესი კი ყალიბდებოდა ძლიერი პოლიტიკური პარტიებისა და პარტიული უპირატესობის პრინციპებზე.

დღეს უკვე აშკარაა ყველა ამ პარამეტრის ტრანსფორმაცია და მოდიფიკაცია, მათ შორის: მასობრივი სამრეწველო წარმოებიდან სამეცნიერო კვლევებსა და ინოვაციურ წარმოებაზე გადასვლა, გლობალიზაცია ზრდის საგარეო — ეკონომიკური და საგარეო — პოლიტიკური ფაქტორების მნიშვნელობას, ახალი მასობრივ ინფორმაციათა საშუალებების ინდივიდუალური არჩევანით, იდეოლოგიებისაგან ჩამოშორება ან ორიენტაციის შესუსტება:

პარტიული პოლიტიკის შესუსტება;

სამეცნიერო კვლევების, საზოგადოებრივი აზრის, ღ, სოციალური ინჟინერიის, ინსტიტუციონალური დიზაინის და ა.შ. როლის ზრდა;

პოლიტიკური პროცესების ავტომატიზაცია (ელ. მთავრობა, სისტემაში ეკონომიკური და პოლიტიკური რეგულატორების ჩანერგვა).

ფაქტია, რომ ეტაპობრივად პოლიტიკა კარგავს ადამიანურ ხასიათს და ხდება გაუცხოვება მასსა და მოქალაქეებს შორის. თუკი ადრე პოლიტიკაში მოქალაქეთა მასობრივი ჩართულობის ინტერფეისს ტელევიზია წარმოადგენდა, დღეს ისინი უკვე ინტერნეტის ვირტუალური პერსონაჟები არიან. ადამიანების ინტერესი პოლიტიკისადმი ნელდება, როგორც ავტორიტეტულ ქვეყნებში, ისე დემოკრატიულში. ეს დამახასიათებელია ყველა ქვეყნისთვის მცირე გამონაკლისით, როცა ეს უკანასკნელები პოლიტიკური ტენდენციების ტრანსფორმაციის აქტიურ ფაზაში იმყოფებიან.

კიბერნეტიკამ, როგორც მეცნიერებამ სისტემებში ინფორმაციის მართვისა და გადაცემის კანონზომიერ პროცესების შესახებ, ნელ-ნელა თეორიული კვლევებიდან გადაინაცვლა ეკონომიკაში, პოლიტიკასა და საზოგადოებაში. მოცემულ შემთხვევაში კიბერპოლიტიკას გამოვიყენებთ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით: კიბერნეტიკული მეთოდების გამოყენება პოლიტიკაში. განვიხილოთ რამდენიმე კიბერნეტიკული პრინციპი პოლიტიკაში.

ჯერ ერთი, ავტომატიზებული მექანიზმების გამოყენება უკუგებისათვის, მაგალითად, საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, სოციალური სტატისტიკა და სხვადასხვა ეკონომიკური მეთოდების შემუშავება. უკუგების ყველა ეს მექანიზმი ბუნებრივია ზრდის სოციალური პოლიტიკის ეფექტურობას, რომლის ძირითადი ნიშანი ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის ადაპტირებულობაა; მეორე, პოლიტიკური პროცესების მართვის მექანიზმების ოპტიმიზაცია გონივრული ინსტიტუციონალური დიზაინითა და სოციალური ინჟინერიით. აქ, პოლიტიკური ინსტიტუტების ექსპერიმენტებითა და არსებული პოლიტიკური სისტემების შედარებითი ანალიზით, მუშავდება ეფექტური პოლიტიკური მართვის მოდელი, რომელთა გამოყენება მმართველ ელიტას საშუალებას აძლევს მათ მიერ კონტროლირებადი საზოგადოება წარმართონ ეფექტურობის სხვადასხვა ხარისხით; მესამე, სოციალური პროთეზირება და მანიპულაცია, როგორც პოლიტიკის რეალიზების ძირითადი საშუალება; და ბოლოს, მეოთხე, წარმატებული პოლიტიკა, როგორც საშინაო, ისე საგარეო, მოითხოვს ეფექტურ პოლიტოლოგიურ ექსპერტიზას, კვლევით ცენტრების არსებობას და კადრების მომზადებას, რომელთაც ძალუძს მეცნიერულად დასაბუთებული პოლიტიკური კონსალტინგის შეთავაზება პოლიტიკური ლიდერებისათვის. მართალია ის (პოლიტიკური მეცნიერება) არ იძლევა გარანტიას წარუმატებლობის ან ჩავარდნის თავიდან აცილების შესახებ, მაგრამ ფაქტია, რომ პოლიტიკას დაბალანსებულს და ფრთხილს ხდის.

აღნიშნული ტენდენციების კუმულაციური შედეგია ის, რომ პოლიტიკა სულ უფრო რთული მოვლენა ხდება, მაგრამ ეს გარდაუვალი მომავალია. პოლიტიკური სისტემის კიბერნეტიზაცია აუცილებელია მისი ეფექტურობის ზრდისათვის, სხვა შემთხვევაში კუბის, ჩრდილოეთ კორეისა და თითქმის მთელი აფრიკის გამოცდილებამ აჩვენა, თუ როგორ ჩიხში ექცევიან ქვეყნები, რომლებიც ირჩევენ იზოლაციის გზას და უარყოფენ კიბერპოლიტიკას. შედეგად, საკუთრივ პოლიტიკური ელიტაც იქ აღმოჩნდება, სადაც ქვეყანა მთლიანად. კიბერნეტიზაცია აუცილებელია ხარისხიანი მართვისათვის. ბიზნესი მიდის იქით, სადაც გაცილებით დიდი შემოსავალია. მოსახლეობა ტოვებს ადგილს, სადაც მას არანაირი პერსპექტივა არა აქვს.

პოლიტიკური შემადგენლის ხარისხობრივი ვარდნა საზოგადოებაში მკაფიოდ აისახება პოლიტიკურ ელიტაზე და საზოგადოებაზე მთლიანობაში. ამ ასპექტში კიბერპოლიტიკა ფორვარტერში მიჰყვება თანმიმდევრული განვითარების თეორიას.

კიბერპოლიტიკას პოლიტიკურ ველში შემოაქვს ახალი საკამათო საკითხები, რომელთა ირგვლივ ფორმირებას იწყებს ახალი პოლიტიკა XXI საუკუნეში, მათ შორის:

სახელმწიფო მართვის სფეროში — ელექტრონული მთავრობა.

საერთაშორისო ურთიერთობებში — კიბერკონფლიქტი და ინტერნეტის მართვა.

შიდა უსაფრთხოება — თვალთვალი, დაზვერვა.

პოლიტიკური მონაწილეობის სფერო — ელექტრონული კენჭისყრა და თვითორგანიზაციის ქსელური ფორმები (სოც. ქსელი)

მიმდინარე პოლიტიკური პროცესი — მათემატიკური გამოთვლები, დანაკარგების, კონტრმასის დადგენა.

პოლიტიკური კომუნიკაცია — ინფორმაციული პოლიტიკის მართვა და ახალი მასმედია.

რა თქმა უნდა, ეს არასრული ჩამონათვალია და შესაძლებელია მისი კიდევ უფრო გავრცობა, არსებითი კი ის არის, რომ კიბერპოლიტიკა XXI საუკუნეში კაცობრიობის მნიშვნელოვანი შემადგენელი ხდება.

ირაკლი გორგილაძე

გაუთბეთ ერთმანეთს გულები...

2015 წლის 29 დეკემბერს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების ფაკულტეტის დაწყებითი განათლების სპეციალობის მესამე კურსის სტუდენტებმა ასისტენტ პროფესორ დარეჯან გელაძის ხელმძღვანელობით მოვაწყვეთ საქველმოქმედო აქცია თემაზე: „გავუთბოთ ერთმანეთს გულები“ და შობა ახალი წლის მოსალოცად ვეწვიეთ საპატრიარქოსთან არსებულ ფერიის წმინდა მატათა მოციქულის სახელობის ბავშვთა გიმნაზია-პანსიონს, რომელიც 2004 წელს დაარსდა. გავიგეთ, რომ ფერიის ბავშვთა სახლში დღეისათვის 120-მდე აღსაზრდელი ცხოვრობს, რომელთა ასაკი ჩვილობიდან 16 წლამდეა. მოზარდები იქვე არსებულ 24 სხვადასხვა სტუდიასა და წრეში არიან გაერთიანებული და მათთვის სასურველ ხელობას ეუფლებიან.

სტუდენტებმა ბავშვებს საკუთარი ინიციატივით შეგროვებული ამანათები და პროდუქტები გადავეცით. წაგვიკითხეს ლექსები. იმღერეს, იცეკვეს.

ჩვენთვის ამაღელვებელი და დასამახსოვრებელი აღმოჩნდა ბავშვებთან გასაუბრება, მათი მადლიერება, სიხარულის ცრემლები და მომავალი შეხვედრების იმედი.

მოსაფერებელთა და დასაფასებელთა სია იზრდება მოხალისეთა რიგები ივსებავაჩუქოთ ერთმანეთს ღიმილი გავუთბოთ ერთმანეთს გულები.

გაიღეთ ქველმოქმედება სიყვარულისთვის.

განათლების ფაკულტეტი დაწყებითი განათლების მესამე კურსის სტუდენტები

მოვუაროთ საქართველოს!

ჩემო ერთადერთო! ჩემო ტკივილო და ჯილდოვ ჩემო! ნიკოფსიიდან დარუბანდამდის გადაჭიმულს გიცნობდი, ხელში ხმალმოღერებულსა და წელში გამართულს. მაშინ ჯიქურ მიმზერდა შენი თვალები და ჩემამდე აღწევდა ეგ გულის ფეთქვა, პირველობის ჟინით ამწვარი. მაშინ რიხიანად შემოსძახებდი „მრავალჟამიერს“ და მშვიდობასა თუ ომში „ხორუმით“ იკვალავდი გზას. „ვეფხისტყაოსნად“ იწერებოდი იმ დროს და თამარის მანდილს იხდენდი. შენვე იყავი დავითი, ბაგრატი, ლაშა... მაგრამ, ვაი რომ, ბაღვაშიც, რუსუდანიც და გიორგი XII-ც შენვე იყავი.

მე შენ იმ „ქართლის დედად“ გიცნობდი — ხმლით მტერსა და თასით მოყვასს რომ ეგებებოდა, დღეს კი „თავსაფრიანი დედაკაცი“ შემიცვნია შენში... მე მაპატიე! შენს უღირს შვილს, მე დამაბრალე! მე გადავცვალე უფლის კვართი ურჯულოებაზე, შარავანდედი შეგიბღალე მანკიერებით, მე გაგიყიდე მიწა, სახლ-კარი, შენს სალ კლდეებს სხვა ქვეყნის სამოთხეები ვანაცვალე, გაგინე, გაფურთხე, გატკინე... მე მოგიკალი წიწამურთან ილია, მე დავღვარე საკუთარი ძმის სისხლი, საფარ-ბეგიც მევე ვარ და ასე უღირსი პატიების თხოვნასაც ვბედავ!

ვერ მოგიფრთხილდი! პატრიოტიზმსაც ვერ მოვუფრთხილდი ჩემივე გულში. აღარ მეყინება სისხლი შენს „კრიმანჭულზე“, ვეღარც „ფერხულს“ ვუვლი იმავე ჟინით...

აღარანაირი სისხლის ყივილი, აღარც გამალებული ფეთქვა გულისა... იალბუზზე ფეხი შემიდგამს და შენი სურნელი კი ვეღარ მიგრძვნია.

სადღეგრძელოში დამრჩი მხოლოდ, სიტყვა ხარ ახლა, გულგრილი სიტყვა. ფსევდოსამშობლო, თავშესაფარი!

და კმარა უკვე! საკმარისია თუ რამ გატკინე, რაც გაწყენინე! უნდა გაგიფრთხილდე, უნდა შეგინარჩუნო, ძველი დიდება დაგიბრუნო! თუმცა მარტო არ ძალმიძს, არ შემიძლია... გთხოვ, ძმაო ჩემო, დაო, დედავ ან უბრალოდ თანამემამულევ, მოვუაროთ საქართველოს, ჩავიხუტოთ და ძველებურად შევიყვაროთ, რადგანაც დრო არის უკვე!

მარიამ მიქაძე,
ფილოსოფიის სპეციალობის
პირველი კურსის სტუდენტი

ფილოსოფოსი კოტე (კონსტანტინე) ბაქრაძე

გიორგი ძოწენიძე, ნიკო მუსხელიშვილი და კოტე ბაქრაძე (მარჯვნივ)

კოტე ბაქრაძე ის გამოჩენილი ქართველი ფილოსოფოსია, ვინაც მოსე გოგიბერიძესთან, კიტა მეგრელიძესთთან და სავლე წერეთელთან ერთად გააგრძელა შალვა ნუცუბიძის, დიმიტრი უზნაძისა და სერგი დანელიას დაწყებული საქმე და ახლადდაარსებულ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განავითარეს და განამტკიცეს ფილოსოფიური კვლევა-ძიება.

ბაქრაძეს ერთობ რთულ ვითარებაში მოუხდა მოღვაწეობა, როცა საბჭოთა სინამდვილეში ყოველგვარი აზრი, მითუმეტეს ფილოსოფიური, კომუნისტურ იდეოლოგიურ კლიშეებთან უნდა ყოფილიყო თანხვედრაში. ამგვარი გარემოება განსაკუთრებით მძიმე იყო გამორჩეული ნიჭისა და არაორდინალური მოაზროვნეებისთვის. სწორედ ასეთი იყო კოტე ბაქრაძე, რომელიც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დამთავრების (1922 წ.)შემდეგ ნუცუბიძის რეკომენდაციით ევროპის ფილოსოფიურ მექაში — გერმანიაში მიავლინეს სწავლის გასაგრძელებლად.

გერმანიაში ბაქრაძე ესწრებოდა ისეთი ცნობოლი ფილოსოფოსების ლექცია-სემინარებს, როგორებიც იყვნენ: ჰ. რიკერტი, ი. კონი, რ. კრონერი და, რაც მთავარია ე. ჰუსერლი. ამ უკანასკნელის გაცნობა და მასთან თანამშრომლობა ახალგაზრდა ქართველი მეცნიერისთვის ხომ ოცნება იყო. ბაქრაძე ამ აღიარებულ ფილოსოფოსთა თვალსაზრისებისადმი თამამ და კრიტიკულ დამოკიდებულებას ამჟღავნებდა, რაც კარგად ჩანს მეუღლისადმი გამოგზავნილი წერილებიდანაც.

1925 წელს ბაქრაძე სამშობლოში ბრუნდება და მუშაობას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჯერ ასისტენტად, შემდეგ დოცენტად, ხოლო 1929 წლიდან უკვე პროფესორია.

ბაქრაძე 1929 წელს აქვეყნებს ფუნდამენტურ მონოგრაფიულ გამოკვლევას — „დიალექტიკის პრობლემა გერმანულ იდეალიზმში“, სადაც განხილულია დიალექტიკაზე მოძღვრების საკითხები გერმანული კლასიკური ფილოსოფიის წარმომადგენლების — კანტის, ფიხტესა და შელინგის ფილოსოფიურ სისტემებში. მონოგრაფიაში ავტორი ნათლად და დამაჯერებლად აჩვენებს განხილულ ფილოსოფიურ სისტემებში დიალექტიკის შესახებ თვალსაზრისთა ლოგიკურ თანმიმდევრობას და შინაგან კავშირს, რაც ფაქტობრივად ნიადაგს ამზადებდა ჰეგელის დიალექტიკისთვის.

ბაქრაძეს განზრახულ;ი ჰქონდა აღნიშნული მონოგრაფიის წარდგენა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მაგრამ ამ განზრახვას აღსრულება არ ეწერა, რადგანაც მას წინ აღუდგნენ მარქსისტული იდეოლოგიით აღჭურვილი ფუნქციონერი მეცნიერები. მეტიც, ბაქრაძის, როგორც გამორჩეული ფილოსოფოსის დევნა გრძელდება შემდეგშიც. კერძოდ, როცა 1936 წელს გამოვიდა ბაქრაძის, ვიტყვი, ბრწყინვალე მონოგრაფია — „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“, და რომელიც ავტორმა წარადგინა უმაღლესი სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, იგივე ძალებმა დისერტაცია ჩააგდეს.

აღნიშნული მოვლენების გამო ბაქრაძემ ხელი აიღო დისერტაციის დაცვაზე, მაგრამ არა ფილოსოფიურ კვლევა-ძიებებზე. საბედნიეროდ, ბაქრაძის ნამდვილი ფასი კარგად იცოდნენ ჭეშმარიტმა ფილოსოფოსებმა როგორც ჩვენში, ისე მოსკოვსა და საბჭოთა კავშირის სხვა სამეცნიერო ცენტრებში. ამის გათვალისწინებით, როგორც კი ოდნავ შესუსტდა იდეოლოგიური წნეხი საბჭოთა კავშირში, უმაღლესმა საატესტაციო კომისიამ მოსკოვში, ბაქრაძეს 1959 წელს დაუცველად მიანიჭა უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი ფილოსოფიაში.

აქვე შევნიშნავთ, რომ 1936 წელს თბილისში „დაწუნებულ“ ბაქრაძის მონოგრაფიას — „სისტემა და მეთოდი ჰეგელის ფილოსოფიაში“ განსაკუთრებული აღიარება ხვდა წილად. ეს მონოგრაფია რუსულად გამოქვეყნდა 1958 წელს, ხოლო პოლონურ ენაზე 1965 წელს. მასზე დაიბეჭდა აღფრთოვანებული რეცენზიები ცნობილი რუსი და პოლონელი სპეციალისტების მხრიდან.

აღინიშნა, რომ დაბრკოლებათა მიუხედავად, ბაქრაძეს ფილოსოფიური კვლევა-ძიება არ შეუწყვეტია. ამ მიმართებით მისი კვლევა-ძიებები მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო: გერმანული კლასიკური იდეალიზმი, დასავლეთის ფილოსოფიის მიმართულებები, ახალი ფილოსოფიის ისტორია,შემეცნების თეორიის საკითხები, სხვადასხვა თემებზე დაწერილი მრავალრიცხოვანი სტატიები უმაღლესი სასწავლებლებისთვის გათვალისწინებულ ფილოსოფიის სახელმძღვანელოებში და სხვა.

ბაქრაძე აქტიურად იყო ჩაბმული ფორმალური ლოგიკისა და დიალექტიკის მიმართების თაობაზე დაწყებულ დისკუსიაში. სწორედ ბაქრაძისა და მოსკოველი ლოგიკოსის — ვ. ჩერკასოვის სტატიებით დაიწყო დისკუსია აღნიშნულ საკითხზე „ვოპროსი ფილოსოფიაში“ 1950 წელს. მთლიანობაში ამ დისკუსიის ტონის მიმცემნი ქართველი ფილოსოფოსები იყვნენ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ბაქრაძის წვლილი უმაღლეს სასწავლებლებსა და საშუალო სკოლებში ლოგიკის სწავლების აღდგენისა და განმტკიცების საქმეში. მან ქართულ და რუსულ ენებზე გამოაქვეყნა „ლოგიკის“ სახელმძღვანელოები, რომლებიც არაერთხელ გამოიცა და დიდი წარმატებით ისწავლებოდა უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში.

ისევ ფილოსოფიის ისტორიას დავუბრუნდეთ. ამ სფეროში ბაქრაძის კვლევა-ძიებათა არეალი ფართო იყო. მან ჯერ კიდევ 1928 წელს გამოაქვეყნა საყურადღებო წერილი სათაურით — „თანამედროვე ფილოსოფია ევროპაში“, სადაც ის იხილავს შელერის, ჰუსერლისა და ჰადეგერის თვალსაზრისებს. აკად. გურამ თევზაძის აღნიშვნით, ბაქრაძე იყო ჩვენში პირველი, ვინც ჰაიდეგერი ახსენა.

1960 წელს ბაქრაძემ რუსულ ენაზე გამოაქვეყნა „უახლესი და თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ისტორიის ნარკვევები“’ სადაც განხილულია და კრიტიკულად არის შეფასებული ისეთი მიმართულებები ფილოსოფიაში, როგორებიც იყო — ვულგარული მატერიალიზმი, ემპირიოკრიტიციზმი და მახიზმი, კრიტიკული პოზიტივიზმი, ნეოკანტიანელობის განშტოებები, ჰუსერლის ფილოსოფია.

ამავე პერიოდში, დროის მოკლე მონაკვეთში ბაქრაძე აქვეყნებს საყურადღებო ნაშრომებს: „ექსისტენციალიზმი“(1962), „თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის მიმართულებათა კრიტიკა“(1964) და „პრაგმატიზმი“(1965). ყველა ამ ნაშრომში ჩანს მათი ავტორის აზროვნების სიცხადე და ლოგიკურობა, საკვლევი თემატიკის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა, პრობლემების ორიგინალური გადაწყვეტა და ა.შ. აქ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ ყველაფერი ეს კეთდებოდა საბჭოთა ეპოქაში, როცა ერთგვარი დათბობის მიუხედავად, დასავლური ღირებულებები, მით უმეტეს, არამარქსისტული ფილოსოფია, ტაბუდადებული თემები იყო.

1969 წელს გამოდის ბაქრაძის „ახალი ფილოსოფიის ისტორია“, სადაც განხილულია აღორძინების ეპოქის ფილოსოფია, ახალი ფილოსოფიის საწყისი ეტაპი, მატერიალიზმი ინგლისსა და საფრანგეთში, განმანათლებლობა (გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი), ბერკლისა და იუმის ემპირიზმი და აგნოსტიციზმი, ბეკონის, ლოკის, დეკარტის, სპინოზას, ლაიბნიცის და სხვათა ფილოსოფიური თვალსაზრისები კანტის ფილოსოფიის ჩათვლით. ბაქრაძის ეს უკანასკნელი მონოგრაფია მისი ავტორის დიდი ნიჭიერების უტყუარი დადასტურებაა.

ბაქრაძის ღვაწლი ფილოსოფიაში ასე აქვს შეფასებული მის ერთ-ერთ გამორჩეულ მოწაფეს და საკუთრივ შესანიშნავ ფილოსოფოსს თამაზ ბუაჩიძეს/1930-2001/: „კ. ბაქრაძის მონოგრაფიები ცხადყოფდნენ, რომ მდიდარი ტრადიციების მქონე ქართულ ფილოსოფიას მოევლინა საოცარი შესაძლებლობების, ერუდიციის, გაქანების მქონე პიროვნება, არაჩვეულებრივი ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი. ამ თხზულებებით ნებისმიერი ერი იამაყებდა“.

მართლაცდა, რომ არა ეს დიდი ხელისშემშლელი გარემოებები, ბაქრაძის ნიჭისა და გაქანების მოაზროვნე გაცილებით მეტს გაკეთებდა და არა მხოლოდ ფილოსოფიაში.

ცალკე თემაა ბაქრაძე, როგორც პედაგოგი. აქ მხოლოდ იმის აღნიშვნით დავკმაყოფილდებით, რომ მან აღზარდა ქართველ ფილოსოფოსთა შესანიშნავი პლეადა, რომელთაც დიდ კვალი დააჩნიეს მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ ფილოსოფიას.

ბაქრაძეს დაგვიანებით, მაგრამ გარკვეულწილად მაინც დაუფასდა გაწეული ღვაწლი: დაუცველად მიენიჭა ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი, აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ნადვილ წევრად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მე-2 კორპუსის შესასვლელში დაიდგა მისი ბიუსტი, თბილისში არის მისი სახელობის ქუჩა, 2013 წელს კი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მთავარი კორპუსის 32-ე აუდიტორიას ეწოდა ბაქრაძის სახელი...

ბაქრაძე წლების განმავლობაში ჩამოდიოდა ბათუმში და მაშინდელ სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში კითხულობდა ლექციებს ლოგიკასა და ფილიოსოფიაში, გარკვეულ ხანს ყოფილა ფილოსოფიის კათედრის გამგეც.

P. S. სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო ბაქრაძეს ჩვენი კურსისთვის ლექცია არ წაუკითხავს. ისე კი მინახავს მუდამ საქმიანი, მაღალი, გამხდარი და სიმპათიური პროფესორი, რომელსაც სალამს ვერ ვასწრებდით. ერთხელ მქონდა ბედნიერება დავსწრებოდი მის საჯარო ლექციას, რომლის თემა დაახლოებით ასეთი იყო: როგორ ჩამოვყალიბდეთ მეცნიერად. ყველაფერთან ერთად პროფესორი გვირჩევდა, რომ, ვისაც სურს მეცნიერი გახდეს, მის სკამზე ფისი უნდა იყოს წასმული, რათა დიდხანს იყო წიგნთან.

თავს ბედნიერად ვთვლი, რომ მოვესწარი ცოცხალ კოტე ბაქრაძეს და დავესწარი მის საჯარო ლექციას.

მიხეილ მახარაძე
პროფესორი, ლიტერატურაში სახელმწიფო, ფილოსოფიაში აკად. შალვა ნუცუბიძისა და მეცნიერებაში ეროვნული პრემიების ლაურეატი

ახალი ლექსი ძველი მოტივითა და ახალგაზრდობის სურათით

შოთა ზოიძე

ეშმაკმა რად აგიბნია გზა-კვალი,
ქართველობა ასე რატომ გეძრახვის,
შე, ახვარო და მზაკვარო,
თათარს რატომ მეძახი?!

ქართულ სიტყვას ვეალერსე და ვეფერე,
მამა-პაპის სინდისით და გლეხურად,
მე რა მექნა, ჩვენს მეფეებს
ჩალმიანი ქუდები თუ ეხურათ?!

ფარსადანი ღობე-ყორეს ეფარება,
ისევ ისე ემალება სინათლეს,
მე რა მექნა, როცა ჩვენმა მეფეებმა
ქეთევანი ხონთქარს ლანგრით მიართვეს?!

თავი დაანებე ზღაპარს,
როცა მტერი მოგვდგომია აქუცას,
მე რა მექნა ჩემი დიდი პაპის პაპა,
დანდალოში ასკერებმა აკუწეს?!

ამ სოფელში ერთი დღეც ვერ გავიხარე,
მედავება ჩემი მიწით მოვაჭრე,
მე რა მექნა, როცა მტერმა ჩემი მხარე
საქართველოს დუმასავით მოაჭრა?!

მე მოვკვდები. სულ პატარა ანდერძს დავტევ,
ჩვენს მიწა-წყალს ნუ გაყიდით ხელახლა,
აჭარაში საქართველოს მოღალატეს,
წამალივით რომ ეძებოთ, ვერ ნახავთ!

ვიომე და სხვისი როლი არ მოვირგე,
საჯილდაო და სადაო რათ არი,
შამქორი და ბასიანი რომ მოვიგე,
შე, ახვარო, იმიტომ ვარ თათარი?!

უბინოდ რომ შევინახე ჩემი გენი,
უდაბნოში, ცარიელი მათარით,
თამარ მეფის საფლავი რომ მივაგენი,
შე, ახვარო, იმიტომ ვარ თათარი?!

ყველა ვაი უჭკუობით დაგვემართა,
ქართველობა დასაწუნი რათ არი?!
ჩემმა ბრძენმა პატრიარქმა რომ მომნათლა,
შე, ახვარო, იმიტომ ვარ თათარი?!

რუსთაველზე უკეთესი ახლა ვინ მყავს,
საქართველოს უბეში ვარ გამთბარი,
სამშობლო რომ შენზე უკეთესად მიყვარს,
შე, ახვარო, ამიტომ ვარ თათარი?!

მოვკვდები და არ შევარცხვენ შოთას სახელს,
არაფერში ქედს არ ვუხრი ვამპირებს,
ამის შემდეგ, ვინაც თათარს დამიძახებს,
ცოლს მოვუკლავ და მის დედას ვატირებ.

P.S.
კიდევ ერთი მეტაფორა გავისროლე,
ლელიანში გავაგორე აფთარი,
თუ გყავს ჩემი მოსაკლავი ცოლი,
კი, ბატონო, დამიძახე თათარი!

2016

ქვეყნისა და კაცის წინაშე ვალმოხდილი

აზიზ ახვლედიანი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის კოლექტივს გამოაკლდა ღირსეული წევრი, ბატონი აზიზ ახვლედიანი, კაცი, რომელმაც თითქმის ცხრა ათეული წელი იცხოვრა თავისი კუთხისა და ხალხის ცხოვრებით...

სახელოვანი ცხოვრებით იცხოვრა ბატონმა აზიზ ახვლედიანმა, ყოველდღიური შრომით, ქვეყნისა და საქმის სიყვარულით წერდა იგი თავის საინტერესო ბიოგრაფიას: საქმის ერთგული, მომთხოვნი, პრინციპული, პირდაპირი, პირად ურთიერთობაში — თბილი და მომფერებელი, ყურადღებიანი... ასე იცნობდნენ მას მეგობრები და კოლეგები, ნაცნობები, თანაქალაქელები... ასეთები ხომ ბევრზე ბევრი ჰყავდა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც.

თვალი გავადევნოთ ბატონი აზიზის ანკეტურ ჩანაწერებს:

აზიზ ახვლედიანი დაიბადა 1928 წლის 15 ივლისს ბათუმის რაიონის სოფელ მახინჯაურში არიფ ახვლედიანის მრავალშვილიან ოჯახში. მახინჯაურის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ 1949-1953 წლებში სწავლობდა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობით, რომლის დასრულების შემდეგ, 1953-55 წლებში, მუშაობდა შუახევის საშუალო სკოლაში, 1955-1959 წლებში — მახინჯაურის საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. ჩანს, სკოლაში მუშაობა ბუნებით მასწავლებლისათვის არ იყო მთავარი მოწოდება, გული სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი მუშაობისაკენ მიუწევდა, ამიტომაც 1959 წელს მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში მეცნიერ-მუშაკად, პარალელურად საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტში დაუსწრებლად გაიარა ასპირანტურის კურსი, იქვე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

ბატონი აზიზი 1972 წლამდე მუშაობდა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, 1969-72 წლებში იყო ფოლკლორის განყოფილების გამგე. ბატონი აზიზის ხელმძღვანელობით თუ თანახელმძღვანელობით მოეწყო არაერთი ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური ექსპედიცია აჭარის არ რაიონებში. ექსპედიციის მიერ ჩაწერილი მასალები ფასდაუდებელი წყაროა აჭარული დიალექტისა და ფოლკლორის საკვლევად. საქმის ღრმა ცოდნითა და სიზუსტით გამოირჩევა ბატონი აზიზის მიერ ჩაწერილი მასალები, ამიტომაც იგი სანდოა ყველა თაობის მკვლევრისათვის...

ფართო იყო ბატონი აზიზის სამეცნიერო ინტერესები: ქართული ფოლკლორი, საქართველოს ეთნოგრაფია, ტოპონიმიკა, ქართული ლიტერატურის ისტორია... გემოვნებიანი მკითხველი და დახვეწილი სტილის მკვლევარი იყო ბატონი აზიზი, კითხულობდა ბევრს, წერდა ცოტას, მის ნაკვლევს ეტყობა პროფესიონალის ხელი.

1972 წელს ბატონი აზიზ ახვლედიანი გამომცემლობა „საბჭოთა აჭარის“ დირექტორად დაინიშნა. თითქმის ორი ათეული წელი ხელმძღვანელობდა იგი წიგნის გამოცემის საქმეს აჭარაში. იმდროინდელი გამომცემლობა იყო შემოქმედებითი კოლექტივი, მისი პროდუქცია — რედაქციულად ზედმიწევნით დამუშავებული, რაშიც დიდი იყო მკაცრი და მომთხოვნი დირექტორის წვლილი. გამომცემლობის თანამშრომლებს თავად აძლევდა სარედაქციო საქმიანობის მაგალითს. შეიძლება ითქვას, დირექტორის წაუკითხავად გამომცემლობას წიგნი არ დაუბეჭდავს. ბატონი აზიზის ხელმღვანელობით გამოიწრთო საგამომცემლო საქმის სპეციალისტთა მთელი თაობა...

1991 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებით (245) აზიზ ახვლედიანი დაინიშნა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოვალეობის შემსრულებლად, 1992 წლის 16 აპრილს რექტორად (საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანება 68/კ), სადაც 1996 წლის 13 აგვისტომდე მუშაობდა. რთულ პერიოდში მოუხდა ბატონ აზიზს უნივერსიტეტის რექტორობა: ეკონომიკური სიდუხჭირე, სამოქალაქო დაპირისპირება... ართულებდა ახლადჩამოყალიბებული უნივერსიტეტის სტრუქტურული ფორმირების პროცესს. ბატონმა აზიზმა უნივერსიტეტის კოლექტივთან ერთად გაუძლო დროის გამოცდას, საქმის სიყვარულმა და პასუხისმგებლობის დიდმა გრძობამ შეაძლებინა ბათუმში უმაღლესი სკოლის ახალ საფეხურზე აყვანა: ჩამოყალიბდა ახალი კათედრები, შეიქმნა საუნივერსიტეტო სპეციალობები, დაარსდა ბსუ შრომები ორ სერიად: ა. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ბ. საბუნებისმეტყველო მეცნიერება და მათემატიკის სერიები... რექტორის ინიციატივით ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტთან 1995 წელს ჩამოყალიბდა „ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის ლაბორატორია“, დამუშავდა ლაბორატორიის სამუშაო გეგმა, კვლევის პრიორიტეტად გამოიკვეთა ჭოროხის ხეობისა და ლაზეთის კვლევა. ძნელად, მაგრამ მაინც უნივერსიტეტი გადავიდა განვითარების ახალ ეტაპზე. ბარემ ვიტყვით, რომ ბატონი აზიზი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა უნივერსიტეტში სამეცნიერო მუშაობას, ხელს უწყობდა, ახალგაზრდებს ასპირანტურაში გაეგრძელებინათ სწავლა, უკვე გამოცდილ მკვლევრებს კი აქეზებდა ინტენსიურად ემუშავათ და დაეცვათ სადოქტორო დისერტაციები, მისი რექტორობის პერიოდში ბათუმის უნივერსიტეტში ჩამოყალიბდა ასპირანტურა რამდენიმე სპეციალობაში... რექტორი ყურადღებას აქცევდა საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებთან ურთიერთობასაც. იმხანად უნივერსიტეტმა საქმიანი ურთიერთობა დაამყარა სამსუნისა და ერზრუმის უნივერსიტეტებთან, 1992 წელს ბათუმისა და სამსუნის უნივერსიტეტებმა ჩაატარეს ერთობლივი საერთაშორისო სიმპოზიუმი ბათუმში, შემდეგ — სამსუნში...

1992-1996 წლებში ბატონი აზიზ ახვლედიანი შეთავსებით იყო ქართული ლიტერატურის კათედრის გამგე, 2004 წლამდე ამავე კათედრის დოცენტი. კითხულობდა ლექციების კურსს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიაში.

1996 წლის 13 აგვისტოს ბატონი აზიზ ახვლედიანი დაინიშნა აჭარის არ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პრემიების სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ, თუმცა მოვალეობის შესრულებაზე მან უარი განაცხადა.

2004-2006 წლებში აზიზ ახვლედიანი იყო ბსუ-ს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფროსი მეცნიერ მუშაკი.

ბატონი აზიზი თვალყურს ადევნებდა უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესებს, განსაკუთრებით ახალი რეფორმების პერიოდში. განსაკუთრებით აინტერესებდა „ჭოროხის ქვეყნების“, ლაზეთისა და მუჰაჯირთა შთამომავლების პრობლემების კვლევა, კითხულობდა უნივერსიტეტის პუბლიკაციებს, იყო პირუთვნელი შემფასებელი და თუ ვიმსახურებდით, შემქებელი. ჩვენთვის ფასეული იყო ბატონი აზიზის სიტყვა, აწონილი და საქმის ცოდნით თქმული.

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით (153) 2013 წელს ბატონ აზიზ ახვლედიანს მიენიჭა ემერიტუსის წოდება.

თავისი შრომითა და ყოველდღიური ცხოვრებით წერდა ბატონი აზიზი თავის ბიოგრაფიას. იოლი ცხოვრებით არასოდეს უცხოვრია, ძნელად იკვლევდა გზას ცხოვრების ლაბირინთებში, მართალი სიტყვა და მოყვასის სიყვარული უადვილებდა გზა-სავალს. ქვეყნისა და კაცის წინაშე ვალმოხდილი წავიდა იგი ამქვეყნიდან და შეერთო მარადისობას...

აჭარის ა.რ. განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ასეთ ადამიანებს თაობები არ ივიწყებენ

იოსებ ხიმშიაშვილი, ფრიდონ ხალვაში, ეთერ დეკანაძე, არჩილ აბაშიძე, აზიზ ახვლედიანი სტუმრად კალოთაში

ქალაქ ბათუმის საზოგადოებრიობა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი საბოლოოდ გამოეთხოვა ცნობილ მკვლევარსა და საზოგადო მოღვაწეს, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყოფილ რექტორს, ემერიტუსპროფესორ აზიზ ახვლედიანს.

ბატონმა აზიზმა უნივერსიტეტში რექტორობისას თავი დაგვამახსოვრა, როგორც ღირსეულმა, ობიექტურმა და საქმის მცოდნე ხელმძღვანელმა, ფართო და ღრმა განათლების მქონე პიროვნებამ, რომელსაც ახარებდა თანამშრომელთა მიღწევები და ყოველმხრივ უწყობდა ხელს მათ ამაში. გარეგნულად თითქოს მკაცრი, ურთიერთობაში იყო საოცრად თბილი და უშუალო, სტიმულს გვაძლევდა რომ უკეთ გვემუშავა.

მისი რექტორობისას დამოუკიდებელ უნივერსიტეტში პრორექტორი ვიყავი, ხოლო სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი და კარგად მახსოვს, მისი მუშაობის სტილი, ობიექტურობა და მომთხოვნელობა, მაგრამ საოცარი სამართლიანობა და სტუდენტებისადმი სიყვარული. ბატონი აზიზის რექტორობის დროს გაერთიანდა დამოუკიდებელი და სახელმწიფო უნივერსიტეტები და ახალი სპეციალობები ჩამოყალიბდა (სამედიცინო, იურიდიული, ეკონომიური). მან ბევრ ახალგაზრდას შეუწყო ხელი წინსვლაში. მაგალითად, მე — რომ არა ბატონი აზიზის შემოძახება და „დაძალება“, მე დღესაც არ მექნებოდა სადოქტორო დისერტაცია დაცული. რამდენს, რამდენს შეუძლია მისგან ასეთი სიკეთის გახსენება. ასეთ ადამიანებს თაობები არ ივიწყებენ, საუკუნო ხსენება იყოს მისი!

ბიჭიკო დიასამიძე,
ემერიტუსი პროფესორი

შოთა ლამპარაძე — 60



დაიბადა 1951 წლის 16 იანვარს, ქედის რაიონის სოფ. გუნდაურში, გლეხის ოჯახში. 1958 წელს სწავლა დაიწყო მერისის საშუალო სკოლაში. აქ არასრული საშუალო განათლების მიღე-ბის შემდეგ სწავლა განაგრძო ქობულეთის რაიონის სოფელ მუხაესტატეს საშუალო სკოლაში, რომელიც დაამთავრა 1969 წელს. ამავე წელს ბატონი შოთა ჩაირიცხა შრომის წითელი დროშის ორდენოსანი საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიულ ფაკულტეტზე. სტუდენტობის პერიოდში მან გამოავლინა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის დიდი ნიჭი და შრომისმოყვარეობა, აქტიურ მონაწილეობას იღებდა სტუდენტთა სამეცნიერო წრეებსა და კონფერენციებში.

1974 წელს ბატონმა შოთამ წარჩინებით დაამთავრა ინსტიტუტი და მიენიჭა სწავლული აგრონომის კვალი-ფიკაცია. ამავე წელს იგი მუშაობას იწყებს წულუკიძის რაიონის სოფელ ივანდიდში მთავარ აგრონომად, მომდევნო წელს კი გადაჰყავთ ქობულეთის რაიონის სოფლის მეურნეობის სამმართველოში აგრონომად.

1976 წელს შ. ლამპარაძემ სწავლა განაგრძო ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების სრულიად საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ასპირანტურაში სუბტროპიკული კულტურების სელექციის სპეციალობაზე, სადაც თავი გამოიჩინა კარგი სწავლითა და სამეცნიერო — კვლევითი მუშაობის უნარ-ჩვევებით. ამაში ბატონი შოთა უმადლის თავის მეცნიერ-ხელმძღვანელებს — აკადემიკოსებს: ფილიპე მამფორიასა და შოთა გოლიაძეს.

შოთა ლამპარაძემ 1984 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „იაპონიიდან ინტროდუცირებული მანდარინის ჯიშების სამეურნეო და ბიოლოგიური თავი-სებურებების შედარებით შესწავლა“ და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხა-რისხი. 1984-85 წლებში იგი მუშაობდა ზემოთ აღნიშნული ინსტიტუტის სელექციისა და გენეტიკის განყოფილებაში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად, 1985 წელს კი მუშაობა განაგრძო საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის აჭარის ფილიალის ხელმძღვანელად, ხოლო შემდეგ — აჭარის სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დანერგვის სამმართველოს უფროსად.

1994-1996 წლებში შოთა ლამპარაძე იყო ქობულეთის სამეურნეობათაშორისო მეფრინველეობის ფაბრიკის დი-რექტორი, 1997 წელს კი ქობულეთის რაიონის ალამბრის ციტრუსების მეურნეობის დირექტორის მოადგილე (მთავარი აგრონომი).

1998 წელს შოთა ლამპარაძემ მუშაობა განაგრძო ბა-თუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში დოცენტის თა-ნამდებობაზე, სადაც 2004 წელს დააწინაურეს ამავე ინს-ტიტუტის რექტორის მოადგილედ სასწავლო დარგში. ამ თანამდებობაზე იგი მუშაობდა 2006 წლამდე. შემდეგ მან მუშაობა განაგრძო ბათუმის შოთა რუსთაველის სახელ-მწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგ-რარულ მიმართულებაზე ასოცირებულ პროფესორად. ამ-ჟამად იგი არის პროფესორი და ზემოთ დასახელებული ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანი. 2009-2012 წლებში შოთა ლამპარაძე იყო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრი. 2013-2014 წლებში მან სტაჟირება გაიარა თურქეთისა და გერმანიის რესპუბლიკებში.

სადაც კი იმუშავა შოთა ლამპარაძემ, ყველგან თავი გამოიჩინა როგორც შრომისმოყვარე და დიდი პასუხის-

მგებლობის მქონე პიროვნებამ. „ბატონი შოთა ლამპარაძის განსაკუთრებულმა შრომისმოყვარეობამ, აქტუალური პრობლემების გადაწყვეტისა და სიახლეების წარმოებაში დანერგვით მიღებულმა შედეგებმა, — წერენ პროფესორები ოთარ შაინიძე და რეზო ჯაბნიძე, — იგი დააწინაურა საქართველოს აგრარული მეცნიერების წამყვან რიგებში, რის გამოც მას კარგად იცნობენ არა მარტო საქართვე-ლოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც“ (გაზ. „ბათუმის უნივერსიტეტი“, 2011 წლის თებერვალი).

შ. ლამპარაძის ხელმძღვანელობით მომზადდა და და-ცულ იქნა 12 სამაგისტრო ნაშრომი და 5 სადოქტორო დისერტაცია, იყო მრავალი სადოქტორო დისერტაციის ოპონენტი, 4 სახელმძღვანელოსა და 2 მონოგრაფიის რე-დაქტორი და რეცენზენტი. იგი არაერთხელ გამოსულა მოხსენებით თურქეთის, პოლონეთის, გერმანიისა და ყო-ფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში გამართულ სა-მეცნიერო სესიებსა თუ კონფერენციებზე, სადაც მისი მოხსენებები მსმენელთა დიდ ინტერესს იწვევდა.

შოთა ლამპარაძე ავტორია 90-მდე სამეცნიერო სტა-ტიისა (მათ შორის 5 გამოქვეყნებულია ამერიკის, ინდოეთისა და იაპონიის მაღალრეიტინგულ ჟურნალებში), 5 მონოგრაფიისა და 3 სახელმძღვანელოსი; იყო ხუთი სამეცნიერო-საგრანტო პროექტის ხელმძღვანელი, რომელთა წარმატებით განხორციელების შემდეგ ფერმერთა დასახმარებლად მოამზადა და გამოსცა 15-მდე მეთოდური რეკომენდაცია.

პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობის სფეროში გაწეული მუშაობისათვის შოთა ლამპარაძეს მიღებული აქვს არაერთი ქების სიგელი, 2015 წელს კი ბათუმის უნივერსიტეტის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებით გადაეცა შოთა რუსთაველის სახელობის მედალი.

ჰყავს მეუღლე — მზია ჯინჭარაძე (სერთიფიცირებული პედაგოგი) და ორი შვილი: ლაშა ლამპარაძე (მაგისტრი) და თამარ ლამპარაძე (ჟურნალისტი).

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აგროტექნოლოგიისა და აგროინჟინერიის დეპარტამენტი

უკრაინის დელეგაცია უნივერსიტეტს სტუმრობს

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს საქმიანი ვიზიტით უკრაინის, ქ. ტერნოპილის დელეგაცია სტუმრობდა. ტერნოპილის ეროვნული ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი ანდრეი კრისოვატი, ამავე უნივერსიტეტის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი რომან ციკვასი და ქ.ტერნოპილის ვიცე-მერი ლეონიდ ბიცურა რექტორის მოადგილეს, ნათია წიკლაშვილს შეხვდნენ. შეხვედრაზე განიხილეს თანამშრომლობის გაღრმავება, მჭიდრო ურთიერთობების დამყარება და გამოცდილების გაზიარება ყველა შესაძლო მიმართულებით.

ბათუმის შოთა რუსთველის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ტერნოპილის ეროვნულ ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის უკვე მოქმედებს ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი, აღნიშნული შეხვედრა კი მის კიდევ უფრო ხელშეწყობასა და გაფართოებას ემსახურება.



ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, სტუდენტური თვითმმართველობის ინიციატივით, ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა არასამთავრობო ორგანიზაციასთან „’მრავალეროვანი საქართველო დემოკრატიული ღირებულებების განმტკიცებისათვის“. მემორანდუმის ფარგლებში, დაიგეგმა საერთო კულტურულ-შემეცნებითი პროექტების განხორციელება და დემოკრატიულ პროცესებში ახალგაზრდობის ჩართულობის გაზრდა. ერთ-ერთი ასეთი პროექტი გაეროს ახალგაზრდული ანსაბლეაა, რომელსაც წელს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი უმასპინძლებს. დღესვე ამავე პროექტის ფარგლებში გამარჯვებულებიც გამოავლინეს.

გამოსათხოვარი ზურაბ მახარაძე — ღირსეული პიროვნება და მამულიშვილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აგრარიკოსთა საძმომ დიდი დანაკლისი განიცადა — 69 წლის ასაკში გარდაიცვალა ღირსეული პიროვნება და მამულიშვილი ზურაბ მახარაძე.

დაიბადა 1947 წლის 9 მაისს ხულოს რაიონის სოფელ ძმაგულაში,მრავალშვილიან ოჯახში. ჩანჩხალოს საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1970 წელს ჩაირიცხა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის სახელმწიფო ინსტიტუტში აგრონომიულ ფაკულტეტზე. სწორედ აქ გამოავლინა მეცნიერული და ორგანიზატორული მოღვაწეობისათვის საჭირო ყველა თვისება და ნიჭი. ამიტომაც რექტორატისა და აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით მას დაენიშნა ლენინური სტიპენდია. სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ოთხი ათეული წელი ნაყოფიერად იღვაწა ბათუმის სასოფლო — სამეურნეო ტექნიკუმსა და მის ბაზაზე დაარსებულ სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში პედაგოგად და სასწავლო საცდელი ბაზის დირექტორად, სადაც გამოავლინა კარგი პედაგოგისა და ხელმძღვანელის შესაძლებლობანი, რაც უხვად იყო წარმოდგენილი მის პიროვნებაში.

1986 წელს დაამთავრა მოსკოვის ტიმირიაზევის სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეოაკადემია,ხოლო 1999 წელს ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და ჩაის მრეწველობის ინსტიტუტის ასპირანტურა. მისი სადისერტაციო თემა ეხებოდა ისეთ აქტუალურ საკითხს, როგორიცაა: „ნაჩაიარ ნიადაგებზე ლიმონის კულტურის გაშენების, ზრდა-განვითარებისა და მოვლა-მოყვანის ინტენსიურ ტექნოლოგიებს“. მან შეაგროვა ფაქტობრივი მასალა და გამოაქვეყნა 15-ზე მეტი სამეცნიერო შრომა, მონოგრაფია, მეთოდური მითითება, რეკომენდაციები დაათეულობით საგაზეთო პუბლიკაცია.

ადამიანის ცხოვრებაში შრომა — ღვაწლის აღიარების ყველაზე დიდი ჯილდო სიყვარულია იმ კოლექტივისა, სადაც იგი რუდუნებით იღვწის და მთელ თავის შეგნებულ სიცოცხლეს, ცოდნასა და ენერგიას უშუალოდ უძღვნის მომავალი ახალგაზრდა თაობის სწავლა-აღზრდის კეთილშობილურ საქმეს. წლების განმავლობაში კითხულობდა ლექციების კურსს ნიადაგმცოდნეობაში, გეოდეზიაში, მემცენარეობასა და მრავალწლიან კულტურებში. მას ჰქონდა ლექციის ახსნის და გადმოცემის თავისებური სტილი, რითაც თეორიულ ცოდნას პაქტიკული უნარ-ჩვევებით აღრმავებდა.

გამოირჩეოდა კრისტალური პატიოსნებით, კეთილსინდისიერებითა და მაღალი საშემსრულებლო დისციპლინით. იგი სულ მუდამ საზოგადოებაში ტრიალებდა. აქტიურ მოღვაწეობას იღებდა ყველა იმ საქმეში, რომელიც ხალხის ცხოვრებასთან იყო დაკაშირებული. დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა, როგორც სტუდენტთა ისე პედაგოგიურ კოლექტივში.

მისი ხანგრძლივი სამეურნეო-პედაგოგიური და საზოგადოებრივიმოღვაწეობა სათანადოდ დაფასდა.მიღებული ჰქონდა მრავალი ჯილდო და საპატიო სიგელი, მაგრამ მისთვის ყველაზე დიდი ჯილდო იყო მისი ყოფილი აღზრდილების და კოლეგების თბილი, გულისხმიერი და ყურადღებიანი დამოკიდებულება მისდამი.

ზურაბ მახარაძე გარდაიცვალა 2016 წლის 1 თებერვალს. დაკრძალულია მახინჯაურში, მწვანე კონცხზე. მადლიერი კოლექტივი, მრავალრიცხოვანი მეგობრები, სტუდენტი-ახალგაზრდობა მუდამ გულთბილად მოიხსენიებენ ბატონ ზურაბს, რომელმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვა, სადაც კი უმოღვაწია. სამწუხაროა, რომ იგი შემოქმედებითი მოღვაწეობის პერიოდში წავიდა ამ ქვეყნიდან. დაამწუხრა ოჯახი, ახლობლები, მეგობრები და მთლიანად ჩვენი საზოგადოება.

დრო ადამიანთან ერთად არსებობს, მაშასადამე ხსოვნაც. ამბობენ, ადამიანი რაღაცით უბრუნდებაო ქვეყანას. ბატონი ზურაბის სულის გამონათება სიკეთეში უნდა ვეძებოთ მხოლოდ. სიკეთე კი მარადიულია.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

გრავიტაციული ტალღების რეგისტრირების შესახებ

ბოლო პერიოდში განსაკუთრებული ინტერესი წარმოიშვა გრავიტაციული ტალღების ირგვლივ, უფრო სწორად, გავრცელდა ინფორმაცია მათი აღმოჩენის შესახებ. მოდით შევეცადოთ, ჩავწვდეთ აღმოჩენის ფიზიკურ შინაარსს და განვსაზღვროთ მისი მნიშვნელობა თანამედროვე მეცნიერებისათვის. თავდაპირველად გავერკვეთ გრავიტაციული ტალღების არსში. რა გვესმის გრავიტაციული ტალღების ცნების ქვეშ?

გრავიტაციული ტალღები წარმოადგენს გრავიტაციული ველის რხევებს — შეშფოთების პერიოდულ ცვლილებას სივრცე-დროში. ფარდობითობის ზოგადი თეორიის თანახმად და არა მხოლოდ ზოგადი თეორიის, არამედ რიგი თანამედროვე თეორიების თანახმადაც,ეს ტალღები აღიძვრება მასიური სხეულების ცვლადი აჩქარებული მოძრაობის შედეგად და თავისუფლად ვრცელდება სივრცეში სინათლის სიჩქარით. ბუნებაში არსებულ სხვა ძალებთან შედარებით გრავიტაციული ძალები ბევრად სუსტია, გააჩნიათ მნიშვნელოვნად მცირე სიდიდე და სწორედ ამიტომაც არის რთული მისი რეგისტრირება.

ამ ტალღებისარსებობა პირველად იწინასწარმეტყველაალბერტ აინშტაინმა, შექმნა რა ფარდობითობის ზოგადი თეორია, რომლითაც მან მოახერხა გრავიტაციული ტალღების აღწერა მათემატიკურად ტალღური განტოლებების საშუალებით. თავის მხრივ ეს განტოლებები აღწერს სივრცე-დროითი შეშფოთების სინათლის სიჩქარით გავრცელებას.

სანამ უშუალოდ გრავიტაციული ტალღების აღმოჩენის მეთოდს შევეხები, რამდენიმე სიტყვით შევჩერდები რელიქტიურ გამოსხივებაზე — ე.წ. ფონურ გამოსხივებაზე, რომელიც პრაქტიკულადწარმოადგენს კიდევაც გრავიტაციული ტალღების აღმოჩენის საფუძველს.

მეცნიერების მუდმივ ინტერესს წარმოადგენდა და ცხადია, ახლაც წარმოადგენს ამოცანა სამყაროს წარმოშობის შესახებ. ტექნოლოგიის დახვეწა — ახალი თანამედროვე ტელესკოპების შექმნა დაკავშირებულია იმ საკითხთან, რომ როგორმე დაიჭირონ საინტერესო ინფორმაცია გამოსხივების ან ტალღის სახით, რომელიც ამ საიდუმლოების გასაღები შესაძლოა აღმოჩნდეს. როგორც ცნობილია, 1965 წელს პენზიასმა და ვილსონმა (აშშ) აღმოაჩინეს არამიწიერი ფონური რადიოგამოსხივება 7 სმ ტალღის სიგრძეზე, რომლის ინტენსივობა პრაქტიკულად არ იყო დამოკიდებული მიმართულებაზე. შემდგომში დაკვირვებებმა აჩვენეს, რომ ფონურ გამოსხივებას აქვს პლანკისებური სპექტრი 2,7 კელვინი ტემპერატურით. მეცნიერები თვლიან, რომ ეს გამოსხივება არის ნარჩენი იმ დროიდან, როცა სამყარო იყო გავარვარებული. სწორედ ეს წარმოადგენს „ცხელისამყაროს“ მოდელის დამადასტურებელ ერთ-ერთ მტკიცებულებას. თვით ამ გამოსხივებას კი ი. ს. კშოლოვსკის წინადადებით რელიქტურ გამოსხივებას უწოდებენ. 1978 წელს პენზიას და ვილსონს ამ აღმოჩენისათვის ნობელის პრემია მიენიჭათ.

და აი, 2015 წლის სექტემბერში I-ს ობსერვატორიაში ორი ტყუპი დეტექტორით ექსპერიმენტულად უშუალოდ აღმოჩენილი იქნა გრავიტაციული ტალღები. სავარაუდოდ, დაფიქსირებული გრავიტაციული ტალღები წარმოშვაორი შავი ხვრელის შერწყმამ.

რაც შეეხება გრავიტაციული ტალღების დეტექტორს, იგი წარმოადგენს ტექნიკურ მოწყობილობას, რომელიც მათი რეგისტრაციის საშუალებას იძლევა. ფონური გამოსხივების რეგისტრაციის მიზნით, სხვადასხვა დროს, სხვადასხვა ქვეყანაში აგებული იქნა მრავალი დეტექტორი. ერთ-ერთი პირველი რადიოტელესკოპი ააგო რებერმა 1967 წელს, მერილენდის უნივერსიტეტში. მანამდე, 1957 წელს ინგლისშიჯოდრელ ბენკის ობსერვატორიაში შეიქმნა პირველი სრულ წრეზე ბრუნავი პარაბოლოიდი 71 მ დიამეტრით. შემდეგ სხვადასხვა ადგილას, აგებული იქნა მასიური პარაბოლური ანტენები, მაგალითად: 64 მ-იანი პარკსში (ავსტრალია), 91 მ-იანი გრინბეკში (ა.შ.შ.), 300 მ-იანი არესიბოში (პუერტორიკო), 100 მ-იანი ბონში (გერმანია) და ა.შ. ითვლება, რომ დედამიწაზე ინტერფერომეტრების ზღვრული პრაქტიკულად მიღწეულია. ჩატარებულია პირველი ექსპერიმენტი ინტერფერომეტრის ერთ-ერთი ანტენის ხელოვნურ თანამგზავრზე დამონტაჟების მიზნით, ე.ი. ხორციელდება მუშაობა კოსმოსური ინტერფერომეტრების აგების კუთხით.

დღეს გრავიტაციული ტალღების რეგისტრაციის ორი მეთოდი არსებობს. ერთ-ერთი მათგანი ეფუძნება რებერის ანტენის მოდელს. რებერის ანტენა კი წარმოადგენს ე.წ. გრავიტაციულ ანტენას, რომელიც, როგორც წესი, დაბალი ტემპერატურის მასიური ლითონის მილია. დეტექტორის ზომები იცვლება მასზე გრავიტაციული ტალღების დაცემისას და როცა დაცემული ტალღის სიხშირე ანტენის რეზონანსულ სიხშირეს ემთხვევა, ანტენის რხევის ამპლიტუდა შესაძლოა იმდენად დიდი გახდეს, რომ რხევების დარეგისტრირების საშუალება მოგვეცეს. რებერის ექსპერიმენტში ანტენა წარმოადგენდა 2 მეტრი სიგრძის და 1 მეტრი დიამეტრის ალუმინის ცილინდრს. იგი ჩამოკიდებული იყო ფოლადის მავთულებით. ანტენის რეზონანსული სიხშირე შეადგენდა 1660 ჰც-ს, ხოლო ამპლიტუდური მგრძნობიარობა 10-16 მ-ს. რებერმა გამოიყენა ორი თანხვედრაზე მომუშავე დეტექტორი და განაცხადა, რომ დაიჭირა სიგნალი, რომელიც დიდი ალბათობით გალაქტიკის ცენტრიდან მოდიოდა, თუმცამოგვიანებით დამოუკიდებელი ექსპერიმენტებით არ იქნა დადასტურებული მისი აღმოჩენა.

დღესდღეობით, მოქმედი დეტექტორებიდან, ამ პრინციპითმუშაობს ჰოილანდიაშილეიდენის უნივერსიტეტში მდებარე ინიI-ის ანტენა, აგრეთვე ანტენები ALLEGRO, AURIGA, EXPLORER და NAUTILUS.

გრავიტაციული ტალღების დეტექტირების მეორე მეთოდი მდგომარეობს საცდელ მასებს შორის მანძილის გაზომვაში, მაიკელსონის ლაზერული ინტერფერომეტრის საშუალებით. მაიკელსონის ინტერფერომეტრის გამოყენების შესახებ პირველად მოსაზრება გამოითქვა 1970 წელს ამერიკელი ფიზიკოსების მიერ. ინტერფერომეტრული დეტექტორის მოწყობილობა შემდეგია: რამოდენიმე ასეული მეტრი სიგრძის ურთიერთპერპენდიკულარულ ვაკუმურ კამერებში თავსდებადაკიდული სარკეები. კოჰერენტული ლაზერული სხივი იშლება და მიემართება ორივე კამერის მიმართულებით, შემდეგ ირეკლება სარკეების მიერ, ბრუნდება უკან და კვლავ იკრიბება. ტალღის სიგრძეები ისეა შერჩეული, რომ ეს ორი სხივი შეერთების შემდეგ ერთმანეთს ახშობენ, ე.ი დესტრუქციულად ინტერფერირებენ, რის გამოც, ფოტოდეტექტორის განათებულობა ნულოვანია. თუმცა, საკმარისია რომელიმე სარკემ წაინაცვლოს მიკროსკოპული მანძილით (იგულისხმება, სინათლის ტალღის სიგრძეზე მცირე მანძილი), რომ ამ ორი სხივის კომპენსაცია არასრული აღმოჩნდება და ფოტოდიოდი დაიჭერს სინათლეს.

დღეისათვის ამ ტიპის გრავიტაციული ტელესკოპები მოქმედებს ამერიკულ-ავსტრალიური პროექტის I-ს ფარგლებში, რომელიც ბევრად მგრძნობიარე დეტექტორია, ვიდრე გერმანულ-ინგლისური 600, ფრანგულ-იტალიური VIRGO და იაპონური KAGRA (LCGT).

მაშასადამე, გრავიტაციული ტალღების აღმოჩენას საფუძვლად დაედო შეშფოთების გამოვლინება ორ თავისუფალ, საცდელ მასებს (რომლებიც არ განიცდიან გარეშე ძალების გავლენას) შორის. გამოითქვა მოსაზრება, რომ შესაძლებელია ამ თავისუფალ, საცდელ მასებს შორის მანძილის პერიოდული ცვლილების გაზომვა. ამ დროიდან მოყოლებული, ითვლება, რომ გრავიტაციული ტალღები შეიძლება შეფასდეს რაიმე პერიოდულად ცვლადი, უგანზომილებო პარამეტრით და ეს პარამეტრი აღმოჩნდამანძილის ფარდობითი ცვლილება ორ თავისუფალ მასას შორის. ასტროფიზიკური ობიექტები და მოვლენები, როგორიცაა მაგალითად: კომპაქტური ორმაგი სისტემები, ზეახალი აფეთქებები, ნეიტრონული ვარსკვლავების შერწყმა, შავი ხვრელების მიერ ვარსკვლავების ჩაჭერა და ა.შ., შესაძლოა გამხდარიყო გრავიტაციული ტალღების აღმოჩენის საფუძველი. წარმოიდგინეთ, რომ ამ უგანზომილებო პარამეტრის რხევის ამპლიტუდის ცვლილება 10-18 — 10-23მ-ია. რაღა თქმა უნდა, ასეთი მცირე შეშფოთების დაფიქსირება ტექნიკურად ძალიან რთულია.

ფარდობითობის ზოგადი თეორიის თანახმად, სუსტ (წრფივ) გრავიტაციულ ტალღას გადააქვს ენერგია და იმპულსი, მოძრაობს სინათლის სიჩქარით, არის განივი, კვადრუპოლური და აღიწერება ერთმანეთისადმი 45°-იანი კუთხით განლაგებული ორი დამოუკიდებელი კომპონენტით, ე.ი. გააჩნია პოლარიზაციის ორი მიმართულება. გრავიტაციული ტალღების გავრცელების სიჩქარეს სხვადასხვა თეორია ასევე სხვადასხვაგვარად წინასწარმეტყველებს.კვლავ თუ მოვიშველიებთ ფარდობითობის ზოგად თეორიას წრფივ მიახლოებაში, ის სინათლის სიჩქარის ტოლი უნდა იყოს, მაგრამ გრავიტაციის სხვა თეორიების თანახმად მას შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერი მნიშვნელობა უსასრულობამდე. გრავიტაციული ტალღების პირველი რეგისტრირებული მონაცემებიდან ჩანს, რომ მათი დისპერსია თანხვედრაში აღმოჩნდა უმასო გრავიტონთან, ხოლო სიჩქარე კი სინათლის სიჩქარეს უტოლდება. აი სწორედ ამ ტალღების ექსპერიმენტული რეგისტრაცია მოხერხდა 2015 წლის სექტემბერში.

როგორც ამბობენ, გრავიტაციული ტალღების პირდაპირი რეგისტრაცია და მათი გამოყენება ასტროფიზიკური პროცესების პარამეტრების განსაზღვრისას წარმოადგენს თანამედროვე ფიზიკისა და ასტრონომიის უმნიშვნელოვანეს ამოცანას, რომელიც მეცნიერებს აძლევს მნიშვნელოვან ინფორმაციას სამყაროს წარმოშობის, ე.წ. შავი ხვრელების და სხვა კოსმოსური მოვლენების შესახებ.

ფიზიკა-მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ფიზიკის დეპარტამენტი, პროფესორი
ნუგზარ ღომიძე

რედაქტორი
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი
ნესტან მამუჭაძე

სარედაქციო კოლეგია:
ნანა ცეცხლაძე, ინგა შამილიშვილი, ნათია წიკლაშვილი, მურმან ცეცხლაძე, მურმან გორგოშაძე, დავით გარათაშვილი, გურამ ჩაგანავა, შოთა მამულაძე, გუგული დუმბაძე, ნუგზარ ღომიძე

გაზეთი დაიბეჭდა შპს „გამომცემლობა კოლორში“
ტელ.: 2 71 76 45
მის.: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილი, რკინიგზის ჩიხი 20